



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ინტელექტბანკი

INTELLECTBANK



ინტელექტბანკის საქმე INTELLECTBANK CASE

ა(ა)იპ "ახალგაზრდა ადვოკატები"
თებერვალი, 2016 წ.
ქ. თბილისი

N(N)LP The „Young Barristers”
February, 2016
Tbilisi



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ს.ს. „ინტელექტბანკის“ საქმე

JSC “Intellect Bank” Case

კვლევა
A Research

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
თებერვალი, 2016 წ.
ქ. თბილისი

N(N)LP The „Young Barristers”
February, 2016
Tbilisi

კვლევაზე მუშაობდა
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი

Researchers:
N (N) LP the „Young Barristers” team

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი
არჩილ კაიკაციშვილი

Head of the Working Group
Archil Kaikatsishvili

სამუშაო ჯგუფი:
Working Group:

არჩილ კაიკაციშვილი
Archil Kaikatsishvili

ანა კიკნაძე
Ana Kiknadze

სალომე გოგლიძე
Salome Goglidze

მარიამ იობაშვილი
Mari Iobashvili

ბეჟა ჯავახიშვილი
Beqa Javakhishvili

ცაბო გუგუნაშვილი
Tsabo Gugunashvili

ლაშა ციბაძე
Lasha Tsibadze

თარგმნა:
Translated by:
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
N (N) LP the „Young Barristers”

ნინო ვალიკოვი
Nino Valikovi

გამოცემის დიზაინი:
Publishing design:
რობი გეთიაშვილი
Robi Getiashvili

კვლევა მომზადდა

„ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“ ინიციატივის ფარგლებში.

Research has been prepared

Within the framework of the Project “Institutional dialogue with Executive, Legislative and Judicial Authorities”.

კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაციის გამოყენება
შესაძლებელია მხოლოდ წყაროს მითითებით.

*Information presented in the research may only be
used by indicating the source*

შინაარსი¹

შესავალი -----

საკითხის სამართლებრივი მხარე -----

საკითხის ფაქტობრივი ანალიზი -----

დასკვნა -----

სარეკომენდაციო წინადადებები -----

Table of Contents²

1. Introduction
2. Legal Aspects of the Issue
3. Factual Analysis of the Case
4. Conclusion
5. Recommendations

¹ კვლევის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.barristers.ge

² Electronic version of the monitoring results is available on the official web-page of the organization: www.barristers.ge

1. შესავალი

საქართველოში, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომმა პოლიტიკური მმართველობის ცვლილებამ, საზოგადოების წინაშე არაერთი სისტემური დანაშაულის ჩადენის ფაქტი გახადა ცნობილი. მათ შორის, ყველაზე კრიტიკული მდგომარეობა იმ მოქალაქეების მიმართ არსებობს, რომლებსაც 2004-2012 წლებში საკუთრება დაათმობინეს და სამართლიანი სასამართლოს უფლება შეუღალხეს. წინამდებარე კვლევა ქონების ჩამორთმევის და მისაკუთრების ერთ-ერთ მასშტაბურ შემთხვევას ეხება, რომელზედაც მუშაობა 2015 წლის პირველი ნახევრიდან დაიწყო და დოკუმენტების, ფაქტების, გარემოებების მრავალთვიანი შესწავლის შედეგად, ფართო საზოგადოების წინაშე, პირველად ხდება ცნობილი ს.ს. „ინტელექტბანკის“ გაკოტრების და შემდეგ, მისი აქტივებისა და პასივების გასხვისების ისტორია, მათ შორის ამ პროცესში მონაწილე ადამიანების, თანამდებობის პირებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენელთა პირდაპირი თუ უშუალო მონაწილეობა იმ სავარაუდო დანაშაულში, რომლის მიმართაც სწორი და უტყუარი დასაბუთებები, შეცვლილ რეალობაში, უკვე საგამოძიებო ინსტანციების პრეროგატივაა.

2015 წლის 13 მარტს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ს.ს. „ინტელექტბანკის“ ყოფილ აქციონერებთან ერთად, პირველი ერთობლივი ბრიფინგი გამართეს და ბანკის აქტივებისა და პასივების უკანონოდ ჩამორთმევის და შემდგომ, ბანკის ხელოვნურად გაკოტრების საქმესთან დაკავშირებით, ოფიციალური განცხადება გააკეთეს. ორგანიზაციამ მიმართა საქართველოს პროკურატურას, დააჩქაროს გამოძიება ს.ს. „ინტელექტბანკის“ საქმესთან დაკავშირებით და პასუხისიგებაში მიეცეს პირები, რომლებიც ფიგურირებენ ბანკის გაკოტრებისა და კანონიერი მფლობელებისთვის წართმევის საქმეში. ამასთან, ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 2015 წლის მარტის თვეში, საქართველოს პარლამენტს მოუწოდებდა, დაეწყო საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძის თანამდებობიდან გადაყენების პროცედურა, ვინაიდან შეწავლილმა მასალამ ცხადყო, რომ გიორგი ქადაგიძის მიერ კომერციული ბანკების მიმართ, 2006 წლიდან მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებები, ატარებდა სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს. ჩვენს ასეთ შეფასებას გამოეხმაურა საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელმაც აღნიშნა, რომ ს.ს. „ინტელექტბანკში“, 2006 წელს, ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაციის შესვლა, წარმოადგენდა ტიპურ შემთხვევას, რომლის თანახმადაც, „როდესაც კომერციული ბანკი, თავისი ფინანსური მდგომარეობით უკვე საფრთხის შემცველი იყო მეანაზრებისა და კრედიტორების ინტერესებისათვის, რაც ზოგადად რისკის ქვეშ აყენებდა საბანკო სისტემის სტაბილურობას და მდგრადობას“. აგრეთვე, სეზ-ის მაშინდელი შეფასებით, „ინტელექტბანკის“ პრობლემის მოგვარების სქემა ეფუძნებოდა პრობლემური ბანკის მოგვარების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. პროცესი იყო გამჭვირვალე, წარიმართა რა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. ეს გახლდათ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ჯანსაღი გზა, რომლის შედეგადაც არ დაზარალებულა ბანკის არც ერთი მეანაზრე და კრედიტორი“, თუმცა სეზ-ის ამ განცხადებაში, არ არის დაკონკრეტებული (და ვერც დაკონკრეტდებოდა), თუ რომელ კონკრეტულ „საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე“ დაყრდნობით განახორციელეს მათ აღნიშნული ქმედება. რაც შეეხება სეზ-ის მოქმედებების „გამჭვირვალეობას“, მასზე კვლევაში გვექნება საუბარი.

2015 წლის 16 მარტს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“, საქართველოს ეროვნული ბანკის გამოხმაურების საპასუხოდ განცხადება გაავრცელეს, სადაც აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადება წარმოადგენდა დანაშაულის შესაძლო ნიშნების გადაფარვის მცდელობას, რომელიც მათ მიერვე ხელოვნურად გაკოტრებული ბანკის საქმეზე, სეზ-ის მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან თავის დროზე, იქნა განხორციელებული. ორგანიზაციამ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს მიმართა, ს.ს. „ინტელექტბანკის“ საკითხთან დაკავშირებით, საკუთარი პოზიციის თუ ეროვნული ბანკის მაშინდელი ხელმძღვანელების უდანაშაულობაზე მსჯელობისთვის, ორგანიზაციასთან და გაკოტრებული ბანკის (ს.ს. „ინტელექტბანკის“) აქციონერებთან ერთობლივი შეხვედრა მომხდარიყო. 2015 წლის 18 მარტს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“, აღნიშნულთან დაკავშირებით, სეზ-ს ოფიციალური მიმართვა

გაუგზავნეს, თუმცა შეხვედრის სურვილი არც სეზ-ის პრეზიდენტს და არც რომელიმე უფლებამოსილების მქონე პირს, 2016 წლის იანვრის თვის მდგომარეობით, არ გამოუთქვამთ.

2015 წლის 25 მაისს, „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის მიერ სეზ-ის 2014 წლის ანგარიშის წარადგინას დაესწრო და ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა კომიტეტების გაფართოებულ შეხვედრაზე, შეკითხვის უფლებით ისარგებლა. მას შემდეგ, რაც გიორგი ქადაგიძემ სხდომაზე განაცხადა, რომ მალე ეწურება სეზ-ის პრეზიდენტის უფლებამოსილება და პასუხისმგებელია ყველა ხარვეზსა და პრობლემაზე, რომელიც სისტემაში მისი საქმიანობის დროს გაჩნდა, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელმა, სეზ-ის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეს კომენტარი, საბანკო სექტორში 4 კომერციული ბანკის მიმართ წარმოებულ სადამსჯელო მოქმედებების შესახებ დაუსვა და მოითხოვა განმარტება, თუ რა ღონისძიებები გაატარა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ცნობილი კომერციული ბანკების საქმიანობის და სტაბილურობის დასაცავად. არჩილ კაიკაციშვილის კითხვა ეხებოდა ბანკ „ქართუს“, „კორსტანდარტბანკის“, „სახალხო ბანკისა“ და „ინტელექტბანკის“ საქმეებს. ორგანიზაციის ხელმძღვანელის კითხვაში აღინიშნა, რომ სეზ-ის მიერ განხორციელებულმა მოქმედებებმა, პრაქტიკულად, დასახელებული ბანკების გაკოტრება გამოიწვია. გიორგი ქადაგიძემ არჩილ კაიკაციშვილის კითხვას საჯაროდ პროვოკაციული უწოდა და განაცხადა, რომ დასახელებული ბანკების საქმეებთან დაკავშირებით, საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიმდინარეობდა გამოძიება. სეზ-ის პრეზიდენტის მაშინდელი განცხადებით, პროკურატურა უნდა დაინტერესდეს ყველა იმ ადამიანის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხით, თუკი გამოიკვეთება ვინმეს დანაშაულებრივი მოქმედება. გიორგი ქადაგიძის განცხადებით, ამ მიმართულებით, მზად არის უპასუხოს ყველა კითხვას, თუკი გამოძიება რომელიმე პირის დასახელებულ საქმეებთან შემხებლობით დაინტერესდება.³

2015 წლის 4 ივნისს, „ახალგაზრდა ადვოკატები“, ბანკის აქციონერებთან ერთად, საჯარო სივრცეში, კიდევ ერთხელ გამოეხმაურნენ ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივების და პასივების კანონიერი მფლობელებისთვის წართმევის საქმეზე გაკეთებულ განცხადებას. გამოხმაურების მიზეზი გახდა საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის 2015 წლის 2 ივნისის სატელევიზიო ინტერვიუ, სადაც ყოფილმა პრეზიდენტმა, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ეს შეკითხვა არავის დაუსვამს, ს.ს. „ინტელექტბანკის“ საქმეზე ისაუბრა. მიხეილ სააკაშვილის შეფასებით, ს.ს. „ინტელექტბანკი“ წარმოადგენდა „გამვალტყავებულ ბანკს“ და ხელისუფლებამ „ყველაფერი გააკეთა, რომ გადარჩენილიყო“. ორგანიზაციამ და ბანკის ყოფილმა აქციონერებმა, საქართველოს მესამე პრეზიდენტის განცხადება საზოგადოების მიზანიმართულ შეცდომაში შეყვანად შეაფასეს და აღინიშნეს, რომ ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები ასეთი ხასიათის განცხადებებით, მათ მიერვე ბანკის აქტივების მიტაცების ხელშეწყობისა და შემდგომში გაკოტრების დანაშაულის შესაძლო ფაქტის გადაფარვას ცდილობენ. ასევე ცდილობენ, რომ მსგავსი განცხადებებით, დაფარონ საკუთარი კავშირი იმ პროცესებთან, რომლის შედეგად ხელოვნურად გააკოტრეს იმ დროს საქართველოში მოქმედი, ერთ-ერთი წარმატებული ბანკი, ხოლო მისი ქონება 1 ლარად გადასცეს (ფაქტობრივად აჩუქეს) მათ ფავორიტ ბანკს - ს.ს. „საქართველოს ბანკს“.

2015 წლის მეორე ნახევარში, ორგანიზაციამ, ს.ს. „ინტელექტბანკის“ საქმე, სადისკუსიო შეხვედრებისა და მედიის მაღალი ინტერესის საგნად აქცია. 2015 წლის 14 აგვისტოს, ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივების და პასივების კანონიერი მფლობელებისთვის ჩამორთმევის საქმეზე, ბანკის ყოფილი აქციონერების მხრიდან, ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს სამართლის სფეროს სპეციალისტებმა და მესამე სექტორის წარმომადგენლებმა. აღნიშნული ქეისი ორგანიზაციამ ფართოდ განიხილა მომზადებულ კონფერენციაზე, რომელიც ქონებაჩამორთმეულთა საქმეების შეფასებას მიემდგვნა. საქმეს, ბეჭდვური

³ 2015 წლის 25 მაისის საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომის ვიდეო ჩანაწერი.

მედიის ფურცლებით, გამოეხმაურა არაერთი ექსპერტი და ანალიტიკოსი. ს.ს. „ინტელექტბანკის“ საქმე, ყველა მათგანმა, სწორედაც სისტემური დანაშაულის კონტექსტში აღნიშნა და ბანკის აქტივების მიტაცებაში და მისი შემდგომში გაკოტრებაში მონაწილე პირების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი მოითხოვა, თუმცა პრესა, ხშირ შემხვევაში, ბანკის გაკოტრების რეზონანსულ საქმესთან დაკავშირებით, საზოგადოებას დაზუსტებულ ინფორმაციას არ აწვდიდა. არც ცალკეული პუბლიკაციები გამოირჩეოდნენ ჟურნალისტური სტანდარტებით და ფაქტების სიზუსტით. ს.ს. „ინტელექტბანკის“ საქმეზე მსჯელობის დროს, აქცენტი კეთდებოდა მოქმედი თუ ყოფილი პოლიტიკოსების ინტერესებზე, ლობირებაზე, წილების გადანაწილებაზე და სხვა, თუმცა ასეთ მსჯელობას, არ ახლდა დოკუმენტური მასალა და რეალური მტკიცებულებები. მიუხედავად საქმეზე მედიის მაღალი ინტერესისა, აბსოლუტურად ყველა პუბლიკაციაში, ბანკის ისტორია წარმოდგენილი იქნა, როგორც „გაკოტრებული ბანკის საქმე“, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მათ შორის მედია-საზოგადოებაში საქმეზე სწორი შეხედულებების ჩამოყალიბებისათვის. ორგანიზაციამ და კვლევის ჯგუფმა, ბუნებრივია ყურადღება დაუთმო პერიოდულ პრესაში საკითხთან დაკავშირებულ დისკუსიას, თუმცა კვლევის მთავარი მიზანია საქმის იურიდიული მხარე, საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, მიღებული გადაწყვეტილებების მართლზომიერების შეფასება, ბანკის საქმიანობა დროებითი ადმინისტრაციის შექმნამდე, დროებითი ადმინისტრაციის ბანკში შესვლის ეტაპზე და ბანკის შემდგომი მდგომარეობა. შესაბამისად, წინამდებარე კვლევა წარმოადგენს საქმეზე მომზადებულ პირველ სრულმასშტაბიან შესწავლას, რომელსაც გააჩნია საქმიანი დოკუმენტის პრეტენზია. კვლევა ყველა დაინტერესებულ ადამიანს პასუხის სცემს კითხვაზე, თუ რა მოხდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ საქმეში. ჩვენი მიზანია, ამ რთული და საზოგადოების ფართო წრისთვის უცნობი საქმის შესწავლა და სამართლებრივი შეფასებების წარმოდგენა გახლდეთ.

განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, შესწავლილ იქნა საქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოება, საჯარო დაწესებულებების მხრიდან მიღებული გადაწყვეტილებები, ცალკეული ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედებები, საქმესთან ორგანულად დაკავშირებული, ბიზნეს-კონკურენტების დღევანდელი დამოკიდებულებები. ორგანიზაციამ ცალკე ყურადღება დაუთმო საქმეზე სამართლებრივ დასკვნას და სარეკომენდაციო წინადადებებს საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ, რომელთა მიმართაც არსებობს კანონიერი მოლოდინი, რათა ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე დადგეს სამართლიანი გადაწყვეტილებები. აღნიშნული კვლევა, რომელიც ორგანიზაციის სამართლის ჯგუფმა მოამზადა, მიეწოდება საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, გაეცნობა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისს, საქართველოში დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო, მათ შორის საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ამასთან, კვლევის ინგლისურენოვანი ვერსია მიეწოდება ევროკავშირს, ევროსაბჭოს, გაეროს სათაო ოფისებს, საქართველოს საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებს. საკითხთან დაკავშირებით, ორგანიზაცია, ქართველ სპეციალისტებთან და საკითხით დაინტერესებული პირების მონაწილეობით, გამართავს სადისკუსიო მაგიდას, სადაც ყურადღება დაეთმობა საქმეზე ამჟამად არსებულ სამართლებრივი მოქმედებებსა და საგამოძიებო უწყების შესაძლებლობებს.

კვლევის მიზანია, საქმესთან დაკავშირებით, ასევე გაიზარდოს საზოგადოების ინფორმირება და არსებული ისტორია ფართო დისკუსიის საგანი გახდეს პროფესიულ წრეებსა და მედიაში.

ორგანიზაცია კვლევის მომზადების პროცესში, მადლობას უხდის საჯარო ინფორმაციის მიღების პროცესში ჩართულ სხვადასხვა უწყებებს. მიღებულმა ინფორმაციამ კვლევაზე მომუშავე სამართლის ჯგუფს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია.

2. საკითხის სამართლებრივი მხარე

საქართველოში, სასამართლო რეგისტრაციისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზიის საფუძველზე, 1993 წლიდან საქმიანობა დაიწყო სააქციო საზოგადოება „ინტელექტბანკმა“. 1995 წლის 7 აგვისტოს მდგომარეობით, დიდუბის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ბანკმა, კანონმდებლობის იმჟამინდელი მოთხოვნის თანახმად, გაიარა ხელმეორე რეგისტრაცია. საკუთარი წესდების თანახმად, ს.ს. „ინტელექტბანკი“ ახორციელებდა, როგორც პროცენტის, ასევე უპროცენტო ფულადი ანაზღაურების მოზიდვას, კრედიტების გაცემას (სამომხმარებლო, იპოთეკური, საბალანსო და სხვა კრედიტების ჩათვლით), კომერციულ გარიგებათა დაფინანსებას, ფულად გადარიცხვებს და სალარო ოპერაციებს (მათ შორის ინკასაციას), უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვას, პლასტიკური ბარათების და საგადასახადო საბუთების გამოშვებას, მათი მიმოქცევის ორგანიზებას და სხვა საქმიანობას. ბანკის საწესდებო კაპიტალი, თავდაპირველად შეადგენდა 3 099 770 ლარს, ხოლო 2001 წლიდან 5 000 000 ლარს და ამავე დროს, ბანკს გააჩნდა 64 000 000 ლარის აქტივები, ხოლო მისი მთლიანი კაპიტალი, 2005 წლის 31 დეკემბრის ბანკის სანაშთო ბალანსის მიხედვით, შეადგენდა 10 348 000 ლარს. ს.ს. „ინტელექტბანკის“ წესდების მე-4 თავის მიხედვით, ბანკის მართვლობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა აქციონერთა საერთო კრება, რომლის მუშაობასაც ხელმძღვანელობას უწევდა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (პრეზიდენტი), მისი არყოფნისას - ერთ-ერთი მოადგილე ან გენერალური დირექტორი. წესდების მიხედვით, კრება აქციონერთა შემადგენლობიდან ირჩევდა სამეთვალყურეო საბჭოს, სამეთვალტურეო საბჭო კი, 4 წლის ვადით, საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევდა პრეზიდენტს და მის ორ მოადგილეს. წესდებით, სწორედ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (პრეზიდენტი) წარმოადგენდა ბანკის უმაღლესს პირს, რომელიც მესამე პირებთან ურთიერთობებში, შეუზღავი უფლებებით გამოდიოდა. ბანკის მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობას, ასევე ახორციელებდა წარმომადგენლობით ორგანო - დირექტორატი, რომელიც შედგებოდა გენერალური დირექტორის, მისი ორი მოადგილისა და ოთხი დირექტორისგან.

ს.ს. „ინტელექტბანკს“, წლების მანძილზე, საქართველოს საბანკო სისტემაში, ეჭირა ლიდერი ბანკის სტატუსი, რასაც ადასტურებს ბანკის სერვისები და შესაძლებლობები:

- ბანკმა საქართველოში პირველმა შექმნა ტექნიკური და ტექნოლოგიური პირობები, რომელთა დანერგვის შედეგად, საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ, რუსული (ყოფილი საბჭოთა) საბანკო სისტემებისგან დამოუკიდებლად, შეძლო განეხორციელებინა სრული საბანკო მომსახურება.
- ბანკმა შეძლო, საქართველო გაეწვრიანებინა SWIFT-ის დღეისთვის, უკვე კარგად ცნობილ, საერთაშორისო გადარიცხვების სისტემაში და იგი იყო პირველი ქართული ბანკი, რომელიც ჩაერთო აღნიშნულ სისტემაში, რითაც, ფაქტობრივად, დასრულდა ქართული საბანკო სისტემის მიბმულობა რუსულ საბანკო სისტემასთან;
- ბანკმა საქართველოში პირველმა მიაღწია შეთანხმებას Mastercard-ის და Cirius Maestro-ს სახელით ცნობილ საერთაშორისო პლასტიკური ბარათების სისტემებთან და დაბეჭდა მათივე ბრენდის მატარებელი, პირველი ქართული საერთაშორისო პლასტიკური ბარათები;
- ბანკმა საქართველოში პირველმა ჩამოიტანა და აამუშავა ბანკომატი და ჩაუტარა საერთაშორისო სისტემების სერტიფიცირება, ხოლო მოგვიანებით, შექმნა საკუთარი საბანკომატო ქსელი, რომელიც იმ პერიოდში, ფაქტობრივად, ერთადერთი იყო ქვეყანაში;
- ბანკი იყო American Express Card-ის (ე.წ. Amex) ერთადერთი ექსკლუზიური პარტნიორი და დისტრიბუტორი საქართველოში;

- ბანკმა, საერთაშორისო პლასტიკური ბარათების ბეჭდვის დაწყების პარალელურად, მათი მომსახურების მიზნით, დააფუძნა საქართველოში პირველი საპროცესინგო ცენტრი - კომპანია UFC და დაბეჭდა ამავე სახელწოდების პირველი ქართული, ლოკალური მოხმარების, პლასტიკური ბარათები;
- ბანკი იყო პირველი ქართული ბანკი, რომელმაც ფართო სამომხმარებლო დონეზე დანერგა, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო, სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემები, მათ შორის, დღეს უკვე ფართოდ გავრცელებული Moneygramm-ის და Anelik-ის საერთაშორისო, სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემები;
- ბანკი იყო პირველი ქართული კომერციული ბანკი, რომელმაც გააფორმა ხელშეკრულება Deutsche Bank A.G.-სთან და დაიწყო უცხოური ვალუტის ინკასირება უცხოეთში;
- ბანკმა, საკუთარი არსებობის განმავლობაში, შექმნა 14 ფილიალი, ხოლო ფილიალთა ასეთი ქსელი, იმ დროს მხოლოდ რამდენიმე ქართულ ბანკს ჰქონდა და ყველა მათგანს, ს.ს. „ინტელექტბანკისგან“ განსხვავებით, ფილიალები მემკვიდრეობით ერგო, ჯერ კიდევ საბჭოთა საბანკო სისტემებისგან.

ს.ს. ინტელექტბანკი“, ყოველწლიურად გადიოდა აუდიტორულ შემოწმებას, რომელსაც ატარებდნენ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აკრედიტირებული ე.წ. „დიდი ხუთიანის“ წევრები. აგრეთვე, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ს.ს. „ინტელექტბანკში“ პერიოდულად ტარდებოდა რევიზიები. აუდიტორული შემოწმებების და რევიზიების აქტებში, სისტემატურად ფიქსირდებოდა, რომ ბანკის საქმიანობა, შესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს და საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებს. გარდა ამისა, 2000-იან წლებში, ქვეყნის განვითარების შესაბამისად, საბანკო სფეროში არსებული მზარდი ინვესტირების ფონზე, ს.ს. „ინტელექტბანკი“ ინარჩუნებდა ერთ-ერთი ლიდერის ფუნქციას და სულ უფრო მეტად მიმზდველი ხდებოდა უცხოელი ინვესტორებისთვის. ინვესტორები გამოთქვამდნენ მზადყოფნას ბანკში სოლიდური ინვესტიციების განხორციელებისთვის. შესაბამისად, ბანკის მიმართ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობები იზრდებოდა, თუმცა ბანკის სისტემური განვითარებისთვის, საბედისწერო აღმოჩნდა 2005-2006 წლებში განვითარებული მოვლენები, რომელმაც ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივები და პასივები, კანონიერი მესაკუთრეების მიღმა აღმოჩნდა.

2005 წლის მეორე ნახევრიდან, ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციათა პაკეტის მიმართ, ინტერესი გამოხატეს ეროვნულ დონეზე ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ და ქვეყნის ფარგლებს გარეთ, უკრაინულმა ს.ს. „უკრაგაზბანკმა“.

ს.ს. „ინტელექტბანკის“ წარმომადგენლობა თანაბრად უზრუნველყოფდა მოლაპარაკებათა გამართვას პოტენციურ პარტნიორებთან. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ეროვნულ დონეზე ს.ს. „ინტელექტბანკის“ შემენასთან დაკავშირებით, მიდგომები გაცილებით ხისტი აღმოჩნდა, უკრაინულ მხარესთან მოლაპარაკებების პროცესი კი წესების დაცვის სტანდარტში დარჩა. 2005 წლის ზაფხულში, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ და ს.ს. „ინტელექტბანკის“ ხელმძღვანელობას შორის არსებობდა მოლაპარაკებების პროცესი, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიერ, ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციათა პაკეტის სავარაუდო შესყიდვისა და ბანკის შეერთებასთან დაკავშირებით. ს.ს. „ინტელექტბანკის“ მთავარმა აქციონერმა, კახა გიუაშვილმა, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მაშინდელი მოადგილე ირაკლი გილაურისგან მიიღო წინადადება, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკს“ ნომინალური ღირებულებით სურდა შეესყიდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციათა პაკეტი და ამის შემდეგ, იგი შეიერთებდა ს.ს. „ინტელექტბანკს“. ს.ს. „ინტელექტბანკის“ მხრიდან გაკეთდა განმარტება, რომ მოლაპარაკებები უნდა გაგრძელებულიყო, რადგანაც იგივე საკითხთან დაკავშირებით, პარალელურად, არსებობდა სხვა შეთავაზებებიც.

როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ს.ს. „ინტელექტბანკის“ წარმომადგენლის ასეთი პასუხი, არ აკმაყოფილებდა ს.ს. „საქართველოს ბანკს“, რომლიც უკვე აღქმული იყო იმჟამინდელი ხელისუფლების ფავორიტ ბანკად. ს.ს. „საქართველოს ბანკს“ გადაწყვეტილი ჰქონდა, ნებისმიერი ფორმითა და საშუალებებით დაუფლებოდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივებს და ამ მიზნით, ქვეყანაში იმ დროს არსებული პრაქტიკის შესაბამისად, დაიწყო უკანონო ზეწოლის ტალღა ს.ს. „ინტელექტბანკის“ მიმართ, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებდა.

2005 წლის სექტემბერში, საქართველოს ეროვნული ბანკის სარევიზიო ჯგუფის მიერ ს.ს. „ინტელექტბანკში“ დაწყებული იქნა ფინანსური შემოწმება რომელიც, მიუხედავად იმისა რომ სარევიზიო ჯგუფის მიერ სერიოზული დარღვევები არ გამოვლენილა, გაგრძელდა, ჩვეულებრივზე მეტი ვადით - დაახლოებით 3 თვის განმავლობაში. ფინანსური შემოწმების ფაქტი და საქართველოს ეროვნული ბანკის გააქტიურება, ბანკის მაშინდელმა მესვეურებმა ირიბად დაუკავშირეს ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ხელმძღვანელების მოქმედებებს, რომელთა კავშირები და გავლენაც სებ-ის მიმართ, საგრძნობი იყო. იმ პერიოდისთვის, ს.ს. „ინტელექტბანკს“, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, მინიჭებული ჰქონდა CAMEL-ის (Capital, Asset quality, Management, Earnings, asst Liberty management) მე-3 რეიტინგი, რომელსაც იგი სტაბილურად ინარჩუნებდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკის სარევიზიო შემოწმების შემდეგ, ს.ს. „ინტელექტბანკს“ შესასრულებლად მიეწოდა შეუსაბამო რეკომენდაციები, რომლებიც გულისხმობდა თითქოსდა პრობლემური სესხების ამოღებას და დაფარვას, აქტივების ნაწილის გაყიდვას და საწესდებო კაპიტალის გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ ს.ს. „ინტელექტბანკის“ ხელმძღვანელობა, შინაგანად არ ეთანხმებოდა აღნიშნულ რეკომენდაციებს და თვლიდა, რომ ბანკი, მათ გარეშეც სრულიად გამართულად, დადგენილი ნორმატივების დარღვევის გარეშე ფუნქციონირებდა, დაემორჩილნენ რა კანონს, მათ მაინც დაიწყეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მითითებული რეკომენდაციების შესრულება. კერძოდ, აქტიურად განხორციელდა სებ-ის მიერ მითითებული თითქოსდა პრობლემური სესხების ამოღება და დაფარვა, გაიყიდა აქტივების ნაწილი, მაგალითად, გაიყიდა ბანკის კუთვნილი მიწის ნაკვეთი დაბა გრიგოლეთში. ასევე, ბანკს გაუფორმდა ს.ს. „ფოთის გემთსაშენის“ აქციათა პაკეტის ნაწილი, კერძოდ 930 000 ცალი აქცია და სხვ. 2006 წლის იანვარისთვის, ს.ს. „ინტელექტბანკს“ უკვე დაფარული ჰქონდა სებ-ის მიერ მითითებული, თითქოსდა პრობლემური სესხების დიდი ნაწილი და რაც მთავარია, ვალდებულებების შესრულება, მიმდინარეობდა სებ-ის მიერ დადგენილი რეკომენდირებული გრაფიკით.

2005 წლის 26 დეკემბერს, მიუხედავად იმისა, რომ ს.ს. „ინტელექტბანკი“ სებ-ის ყველა მოთხოვნას ასრულებდა, საქართველოს ეროვნული ბანკის #1472/06 წერილის თანახმად, ს.ს. „ინტელექტბანკს“ სებ-თან წინასწარი შეთანხმების გარეშე, მოულოდნელად, აეკრძალა ყველა სახის დეპოზიტის მიღება (გარდა მიმდინარე ანგარიშებისა), ახალი კრედიტების გაცემა და სხვა საწარმოების კაპიტალში ინვესტიციების განხორციელება. სებ-ის ასეთი ქმედება ს.ს. „ინტელექტბანკის“ მიმართ სრულიად გაუგებარი და გაუმართლებელი იყო, ვინაიდან სებ-ს არავითარი კანონიერი საფუძვლები არ გააჩნდა ასეთი გადაწყვეტილებების მიღებისთვის. შესაბამისად, სებ-ის ეს ქმედება, ს.ს. „ინტელექტბანკის“ ადმინისტრაციაში შეფასდა, რომ სებ-ის საქციელი ს.ს. „ინტელექტბანკის“ მიმართ, არ იყო თანამიმდევრული და სახელმწიფოს მხრიდან საბანკო სფეროს მიმართ, აგრესიული მეთოდების დანერგვას ემსახურებოდა. ამასთან, სებ-ის გადაწყვეტილება გაუგებარი აღმოჩნდა იმ რეალობის გათვალისწინებით, როდესაც ბანკის შესაძლო გასხვისების საკითხზე, მოლაპარაკებები გრძელდებოდა, როგორც ს.ს. „საქართველოს ბანკთან“, ასევე უკრაინულ „უკრაგზბანკთან“. შესაბამისად, სებ-ის ხისტმა პოლიტიკამ გააჩინა გონივრული ეჭვი, რომ მოლაპარაკებებს, რომელიმე სუბიექტის შემდგომი უპირატესობებისთვის, ხელი უნდა შეშლოდა. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, სწორედ 2005 წლის სექტემბრიდან 2006 წლის იანვრამდე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ს.ს. „ინტელექტბანკის“ მიმართ მეთოდური ზეწოლის პარალელურად, ბანკის მთავარ აქციონერ კახა გიუაშვილთან ს.ს. „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მაშინდელი მოადგილის, ირაკლი გილაურის მიერ, ხორციელდებოდა სატელეფონო ზარები და ისმოდა შეკითხვა, ახლა მაინც იყო თუ არა მიღებული

შესაბამისი გადაწყვეტილება ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერების მხრიდან, მის მიერ ადრე დასმულ საკითხთან - ბანკის აქციათა პაკეტის ს.ს. „საქართველოს ბანკისთვის“ ნომინალური ღირებულებით მიყიდვასთან - დაკავშირებით და ხომ არ იყო კახა გიუაშვილი მზად ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ხელმძღვანელ პირველ პირებთან შეხვედრისთვის.

საყურადღებოა, რომ გიორგი ქადადიძე, იმ პერიოდში, საქართველოს ეროვნულ ბანკში მუშაობდა ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე და ს.ს. „ინტელექტბანკზე“ სეზ-ის მიერ განხორციელებული, ყველა ზემოთაღნიშნული ზეწოლა, ხორციელდებოდა უშუალოდ მისი დავალებითა და მითითებით.

ბანკის გარშემო შექმნილი სიტუაციის გამო, ვითარებაში გარკვევის მიზნით, ს.ს. „ინტელექტბანკის“ წარმომადგენელთა მხრიდან, დაიწყო აქტიური კომუნიკაცია საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობასთან.

2006 წლის 12 იანვარს, შედგა ს.ს. „ინტელექტბანკის“ ხელმძღვანელების (გოგი სალია, კახა ამალაშვილი, გიორგი გაბიაშვილი) და მთავარი აქციონერ კახა გიუაშვილის შეხვედრა საქართველოს ეროვნული ბანკის მაშინდელ პრეზიდენტ რომან გოცირიძესა და ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის იმდროინდელ უფროსს, გიორგი ქადაგიძესთან. აღნიშნულ შეხვედრაზე, ბანკის წარმომადგენლებმა, ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ საქმის კურსში ჩააყენეს საქართველოს ეროვნული ბანკი. ს.ს. „ინტელექტბანკის“ წარმომადგენლების მხრიდან მკაფიოდ იქნა განმარტებული, რომ ბანკის ხელმძღვანელობას, მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვისთვის, უკვე დასრულებული ჰქონდა მოლაპარაკება ს.ს. „უკრაინა-ბანკთან“ და აგრეთვე სხვა კერძო ინვესტორებთან. მიწოდებული ინფორმაციის მიმართ, სეზ-ის პრეზიდენტ რომან გოცირიძეს საწინააღმდეგო პოზიცია არ გამოუხატავს, ხოლო გიორგი ქადაგიძემ (!) განაცხადა, რომ ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციათა პაკეტის ღირებულება, რომელიც ს.ს. „ინტელექტბანკის“ წარმომადგენლების მიერ შეთანხმებული იყო ს.ს. „უკრაინა-ბანკთან“, ასევე კერძო ინვესტორებთან, ძალიან მაღალი იყო. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, რომან გოცირიძემ გიორგი ქადაგიძეს მიუთითა, რომ აქციათა პაკეტის ღირებულება თავად ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერთა გადასაწყვეტი იყო და საქართველოს ეროვნული ბანკი, აღნიშნულ საკითხში ვერ ჩაერეოდა. გიორგი ქადაგიძის ეს გამონათქვამი, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ მას პირადად ან დავალებით, თავიდანვე არაჯანსაღი და დანაშაულებრივი მიდგომები ამოძრავებდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ მიმართ და ასევე ამ რეპლიკით, მან ფაქტობრივად დაადასტურა თავისი ინტერესი იმის მიმართ, რომ ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივები, რაც შეიძლება დაბალ ფასად უნდა ჩაეგდო ხელთ ს.ს. „საქართველოს ბანკს“, რაც გ. ქადაგიძემ შეასრულა კიდევ მოგვიანებით.

მიუხედავად სეზ-ის მიერ განხორციელებული, უპრეცედენტო ზეწოლისა, ს.ს. „ინტელექტბანკი“ მაინც აგრძელებდა საკუთარი ფინანსური მდგომარეობის კიდევ უფრო გაძლიერებას მოზიდული ინვესტიციების ხარჯზე. კერძოდ: 2006 წლის 30 იანვარს, ფიზიკური პირების: დემურ ბაღდაძის, ზაზა ბაღდაძის, ბადრი ეფრემიძის და ბადრი მარგველაშვილის მიერ, ს.ს. „ინტელექტბანკში“ განხორციელდა 1 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია, რაც შესაბამისად აისახა ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერთა რეესტრში. იგივე ინვესტორების მიერ, მომდევნო 1 თვის განმავლობაში, კიდევ უნდა განხორციელებულიყო 3 000 000 აშშ. დოლარის ოდენობის ინვესტიცია, რომლის დიდი ნაწილი, განთავსებული იყო ს.ს. „ინტელექტბანკში“, ზემოაღნიშნულ ფიზიკურ პირთა კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე. მიუხედავად ბანკის გაძლიერებისკენ მიმართული ქმედებებისა, სახელმწიფო, რომელსაც ამ შემთხვევაში სეზ-ი წარმოადგენდა, უყურადღებოდ არ ტოვებდა აღნიშნულ ნაბიჯებს. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი, აქტიურად ჩაერთო ს.ს. „ინტელექტბანკის“ შესაძლო გასხვისების პროცესის სათადარიგო მონაწილედ და გახდა, ეროვნულ დონეზე, ბანკის აქციათა ყიდვით დაინტერესებული - ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ინტერესების უშუალო გამტარებელი.

2006 წლის 2 თებერვალს, საქართველოს ეროვნულმა ბანკის N 106/06 წერილით, ს.ს. „ინტელექტბანკს“ ეცნობა, რომ თითქოსდა, შემოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ ბანკი ვერ უზრუნველყოფდა საზედამხედველო კაპიტალის შენარჩუნებას, რის გამოც, იგი ექვემდებარებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს და სანქციებს. სებ-ის მხრიდან ს.ს. „ინტელექტბანკის“ მიმართ ასეთი შინაარსის მქონე მორიგი წერილი, როდესაც ბანკს უკვე განხორციელებული ჰქონდა შესაბამისი ინვესტირება და შესრულებული ჰქონდა სებ-ის მიერ წარმოდგენილი (თუნდაც შეუსაბამო) რეკომენდაციები, წარმოადგენდა მიზანიმართულ ქმედებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სებ-ის 2006 წლის 2 თებერვლის წერილით, ს.ს. „ინტელექტბანკს“ დაევალა, საზედამხედველო კაპიტალის აღდგენა 7,8 მლნ. ლარის ოდენობით, ასევე არაგონივრულ და შეუსაბამო ვადაში - ერთი კვირის განმავლობაში, წინამდებ შემთხვევაში კი, საქართველოს ეროვნული ბანკი დაიმუქრა, რომ გამოიყენებდა კანონით გათვალისწინებულ საზედამხედველო ღონისძიებებს. ამ ვითარებაშიც კი, ს.ს. „ინტელექტბანკის“ ხელმძღვანელობამ შეუძლებელი შეძლო: 2006 წლის 8 თებერვალს, უკრაინულმა ს.ს. „უკრაზბანკმა“, „ბეს“ სახით, საქართველოს ეროვნულ ბანკში, ს.ს. „ინტელექტბანკის“ საკორესპოდენტო ანგარიშზე, ჩარიცხა 2 000 000 ა.შ.შ. დოლარი. ს.ს. „ინტელექტბანკი“ და ს.ს. „უკრაზბანკი“ შეთანხმდნენ, რომ ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციათა პაკეტის 50 %-ის შესყიდვაში, უკრაინული მხარე გადაიხდიდა 5 000 000 ა.შ.შ. დოლარს და დამატებით განახორციელებდა 10 000 000 ა.შ.შ. დოლარის ინვესტიციას. შესაბამისად, 2006 წლის 9 თებერვალს, ს.ს. „ინტელექტბანკის“ მიერ სებ-ს წერილობით ეცნობა საზედამხედველო კაპიტალის აღსადგენად გატარებული ღონისძიებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის თებერვალის პირველი კვირიდან, ს.ს. „უკრაზბანკის“ დელეგაცია უკვე იმყოფებოდა საქართველოში. ის ეცნობოდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ საქმიანობის ყველა დეტალს. გაეცნო ბანკის ფილიალების თანამშრომლებს. დაათვალიერეს ოფისები და ინტენსიურად ემზადებოდნენ ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციების შესაძენად და ბანკის განახლებული სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად. ამასთან, ს.ს. „უკრაზბანკის“ წარმომადგენლები სტუმრობდნენ საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელებს და სებ-ისთვის უკვე მიწოდებულ იყო ინფორმაცია ს.ს. „ინტელექტბანკში“ მომავალი ინვესტიციების განხორციელების შესახებ.

გამომდინარე იქედან, რომ ს.ს. „უკრაზბანკის“ მიერ ჩარიცხული თანხა ირიცხებიდა სებ-ში, ს.ს. „ინტელექტბანკის“ საკორესპოდენტო ანგარიშზე, სებ-მა აშკარად დაინახა, რომ ს.ს. „ინტელექტბანკში“, ინვესტირად შემოდიოდა ს.ს. „უკრაზბანკი“ და ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ვეღარ შეიერთებდა ს.ს. „ინტელექტბანკს“ და ასევე, სებ-მა დაინახა ის, რომ ს.ს. „ინტელექტბანკი“ კიდევ ერთხელ, სრულად ასრულებდა სებ-ის მიერ ბანკისთვის დაწესებულ მორიგ „რეკომენდაციას“. სებ-მა ჩათვალა, რომ მსგავსი მეთოდებით ს.ს. „ინტელექტბანკის“ ვერაფერს ვერ დააკლებდა და უფრო ხისტ, ამ შემთხვევაში, სრულიად უკანონო ქმედებებზე გადავიდა, კერძოდ:

2006 წლის 10 თებერვლის საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ ეკატერინე გალდავას #68 განკარგულებით, სრულიად მოულოდნელად, ს.ს. „ინტელექტბანკში“ დროებითი ადმინისტრაცია დაინიშნა. განკარგულებაში აღნიშნულია, რომ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის მიზანს წარმოადგენდა ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება. ამასთან, ს.ს. „ინტელექტბანკის“ ადმინისტრაციული მართვა დროებით ადმინისტრაციას გადაეცა 2006 წლის 10 თებერვლიდან ერთი თვის ვადით. დროებითი ადმინისტრაცია დაინიშნა სამი პირის შემადგენლობით:

- **გიორგი ქადაგიძე** - დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისა და თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით;
- **გიორგი გოგუაძე** - საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტის ბანკების ინსპექტირების განყოფილების მთავარი ეკონომისტი, დაკავებული თანამდებობისა და თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით;
- **დავით სვანიძე** - საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტის ბანკების ინსპექტირების განყოფილების მთავარი ეკონომისტი, დაკავებული თანამდებობისა და თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულებით, დროებითი ადმინისტრაციის ძირითად ამოცანად განისაზღვრა ს.ს. „ინტელექტბანკის“ ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისთვის აუცილებელი ზომების გატარება, ხოლო დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის მომენტიდან ბანკის მიმართ დაწესდა შემდეგი სახის აკრძალვები: შეჩერდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ ყველა ორგანოს (მათ შორის აქციონერთა საერთო კრებისა და ადმინისტრირების) უფლებამოსილება, დროებით ადმინისტრაციას გადაეცა ს.ს. „ინტელექტბანკის“ ყველა ორგანოს (მათ შორის აქციონერთა საერთო კრებისა და ადმინისტრირების) სრული უფლებამოსილება, დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადაწყვეტილების მიღების დღიდან, დაუშვებლად გამოცხადდა ნებისმიერი მოქმედება ს.ს. „ინტელექტბანკის“ სახელით და მის ხარჯზე დროებითი ადმინისტრაციის წერილობითი თანხმობის გარეშე. გარდა ამისა, იმავე განკარგულებით, ბანკში შესულ დროებით ადმინისტრაციას, დაევალია რომ უმოკლეს ვადაში განეხორციელებინა შემდეგი ღონისძიებები: ა) განესაზღვრა დროებითი ადმინისტრაციის განხორციელების პირობები „ინტელექტბანკის“ ფილიალებისა და შვილობილი საწარმოებისათვის, ბ) განესაზღვრა და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარედგინა ს.ს. „ინტელექტბანკის“ იმ თანამშრომელთა სია, რომელთა მიმართაც, მიზანშეწონილად ჩაითვალია უფლებამოსილების მინიჭება დროებითი ადმინისტრაციის ნორმალური მუშაობისა და მიზნების მისაღწევად, გ) ს.ს. „ინტელექტბანკის“ მართვის ორგანოებს დაევალით დროებითი ადმინისტრაციისთვის მის მიერვე გასაზღვრულ ვადებში, ყველა ბეჭდის, ბუღალტრული და სხვა დოკუმენტების გადაცემა, ხოლო დ) საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს მიეცა დავალება, ს.ს. „ინტელექტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება გამოეყვეყნებინა ბეჭდვით ორგანოში. აღსანიშნავია, რომ სეზ-ის დროებითი ადმინისტრაცია ს.ს. „ინტელექტბანკში“ 2006 წლის 10 თებერვალს, პარასკევს დღეს, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, 18:00 საათზე შევიდა და დროებით ადმინისტრაციას თან ახლდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2012 წლის ნოემბრამდე მოქმედი დანაყოფის - სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ-ი) რაზმი. მოგვიანებით, სოდ-ის წარმომადგენლებს, ბანკში კონტროლის დასამყარებლად, საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლების შესვლაც მოჰყვა.

2006 წლის 10 თებერვლის, პარასკევს საღამოს, რა დროსაც საქართველოს ეროვნული ბანკის დროებითმა ადმინისტრაციამ ს.ს. „ინტელექტბანკის“ შენობა დაიკავა, ს.ს. „უკრგაზბანკის“ წარმომადგენლები ადგილზე შეხვდნენ საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლებს, ეკატერინე გალდავას, გიორგი ქადაგიძეს და დროებითი ადმინისტრაციის სხვა წევრებს და აცნობეს, რომ ს.ს. „უკრგაზბანკი“ მზად იყო, ადრე ჩარიცხული 2 000 000 ა.შ.შ. დოლარის გარდა, დამატებით, დაუყოვნებლივ ჩაერიცხა ს.ს. „ინტელექტბანკში“ 3 000 000 ა.შ.შ. დოლარი, ხოლო გარკვეული ვადებში, განეხორციელებინა კიდევ 10 000 000 ა.შ.შ. დოლარის ინვესტირება და ასევე, იგი დაასრულებდა აქციონერებთან დაწყებულ მოლაპარაკებებს და შეიძენდა აქციათა პაკეტს. მიუხედავად იმისა, რომ სეზ-ის ვიცე პრეზიდენტის ზემოთაღნიშნული N 68 ბრძანების თანახმად, დროებით ადმინისტრაციის მიზანს, ბანკის თითქოსდა არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა, საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელებმა, ს.ს. „უკრგაზბანკის“ წარმომადგენლებს, ს.ს. „ინტელექტბანკში“, ზემოთაღნიშნული თანხების ინვესტირებაზე უარი განუცხადეს. მათ არ განუმარტავთ უარის თქმის მიზეზი, თუმცა ამ უარით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ სეზ-ის მიზანი არ იყო ს.ს. „ინტელექტბანკის“ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, რომელიც ისედაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოს იმდორინდელ რეალობაში. არამედ სეზ-ის მიზანს წარმოადგენდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივების წართმევა მისი კანონიერი მფლობელებისთვის და ამ აქტივების ს.ს. „საქართველოს ბანკისთვის“ გადაცემა, რაც განახორციელეს კიდევ. საქართველოს ეროვნული ბანკისა და ს.ს. „უკრგაზბანკის“ ხელმძღვანელობის ზემოთაღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე დავით თავართქილაძე.

სეზ-ის დროებითმა ადმინისტრაციამ, რომელსაც გიორგი ქადაგიძე ხელმძღვანელობდა, მისი, კანონისმიერი უფლებამოსილების განხორციელების ნაცვლად, ს.ს. „ინტელექტბანკის“ წარმომადგენლების მიმართ, უკიდურესად აგრესიული დამოკიდებულება გამოიჩინა. მათ შეცვალეს

ს.ს. „ინტელექტბანკის“ არსებული დაცვა და მოიყვანეს საკუთარი ნდობით აღჭურვილი „დაცვის“ თანამშრომლები, რითაც დროებით ადმინისტრაციას საშუალება მიეცა უკონტროლოდ გაეტანა და შემოეტანა ბანკის შენობაში ყველაფერი, საბუთების, ფოლადი სახსრების და სხვათა ჩათვლით. ასევე ახალი „დაცვის“ თანამშრომელთა ხელშეწყობით, მათ, გიორგი ქადაგიძის (დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) უშუალო ბრძანებით, ბანკის თანამშრომელთა ნაწილს, სხვადასხვა ვადით, იძულებით აღუკვეთეს გადაადგილების უფლება და მათ შორის ცალკეული პირები, 2 დღე-ღამის განმავლობაში, 2006 წლის 12 თებერვლის, კვირა დღის, დღის მეორე ნახევრამდე, იძულებით ჰყავდათ ჩაკეტილი ბანკის შენობაში. ს.ს. „ინტელექტბანკის“ ცენტრალური ფილიალის მმართველი, ლევან კვირიკაშვილი, გენერალური დირექტორის მოადგილე, კახა ამაღლობელი, ცენტრალური ფილიალის მთავარი ბუღალტერი თინა ასათაშვილი, ბუღალტერი ეკატერინე რუსიტაშვილი და სხვა თანამშრომლები, 2 დღე-ღამის განმავლობაში: 2006 წლის 10 თებერვლის 18:00-დან, 12 თებერვლის 18:00-მდე, საკუთარი ნების წინააღმდეგ, იძულებით იყვნენ ჩაკეტილნი ბანკის შენობაში და არ ეძლეოდათ შენობის დატოვების საშუალება, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაცია და მისი ხელმძღვანელი, გიორგი ქადაგიძე, მათ ზეწოლის, პირადი ხასიათის მუქარის და შანტაჟის გამოყენებით, აიძულებდა ინფორმაციის გაცემის ს.ს. „ინტელექტბანკთან“ დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე და აგრეთვე ხელის მოწერას დროებითი ადმინისტრაციის მიერვე შედგენილ და მათთვის სასურველ სხვადასხვა დოკუმენტზე. პარალელურად, სოდ-ის თანამშრომლებმა გაჩხრიკეს ს.ს. „ინტელექტბანკის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, გოგი სალიას საცხოვრებელი ბინა. 13 ან 14 თებერვალს, საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი და ამავე დროს ს.ს. „ინტელექტბანკის“ დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ქადაგიძე, ღამის 02:00-ზე ტელეფონით ესაუბრა ს.ს. „ინტელექტბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე კახა ამაღლობელს და მას სთხოვა, რომ მისულიყო ს.ს. „ინტელექტბანკის“ ცენტრალურ ოფისში. ბანკში მისულ კახა ამაღლობელს გიორგი ქადაგიძემ სთხოვა, რომ ხელმოწერით დაედასტურებინა მათ მიერ შექმნილი სხვადასხვა დოკუმენტები, მათ შორის სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვების ანგარიშგება. გიორგი ქადაგიძე კახა ამაღლობელს დაპირდა, რომ ხელმოწერის სანაცვლოდ, ნებისმიერ ბანკში, გარდა ს.ს. „საქართველოს ბანკის“, ს.ს. „TBC ბანკისა“ და ს.ს. „VTB ბანკისა“, მიიღებდა გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. აღნიშნულ დოკუმენტებზე კახა ამაღლობელმა ხელი არ მოაწერა იმ მოტივით, რომ მის ასეთ საქციელს არანაირი გამართლება არ ექნებოდა საზოგადოდ და უპირველესად, ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერების წინაშე. აღნიშნული ფაქტი, კიდევ ერთხელ ცხადყოფს ს.ს. „ინტელექტბანკში“ სებ-ის დროებითი ადმინისტრაციის (ხელმძღვანელი გ. ქადაგიძე) შესვლის ნამდვილ მიზანს, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ბანკში არსებული საბუთების და კომპიუტერული პროგრამების ცვლილებისა და გაყალბების შედეგად, ხელოვნურად შეცვლილიყო ბანკის ფინანსური მდგომარეობა, რის შედეგადაც, რაც შეიძლებოდა დავარდნილიყო მისი აქტივებისა და პასივების ღირებულება, რათა ისისნი, შემდეგ ს.ს. „საქართველოს ბანკისთვის“ გადაეცათ.

მსჯელობას, რომ ზემოაღნიშნული პროცესი ს.ს. „საქართველოს ბანკის“ უშუალო ჩართულობით ხდებოდა, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 2006 წლის 11 თებერვალს, საქართველოს ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაციის ს.ს. „ინტელექტბანკში“ შესვლიდან მეორე დღეს, (ეს დღე იყო შაბათი, თუმცა ს.ს. „ინტელექტბანკისთვის“ სამუშაო დღე), დილიდან, ს.ს. „ინტელექტბანკში“ მივიდნენ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ თანამშრომლები და დაიწყეს სხვადასხვა ქმედების განხორციელება: მათ დაიკავეს ბანკის თანამშრომელთა სამუშაო ადგილები და დაიწყეს ბანკში ყველა სახის უფლებამოსილების განხორციელება. მათ დაიქვემდებარეს ბანკის თანამშრომლები და დაავალეს სხვადასხვა ფუნქციების შესრულება (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომში, დროებითმა ადმინისტრაციამ, ბანკის თანამშრომლებს არ გადაუხადა კუთვნილი ხელფასი). ს.ს. „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენლებმა, სასწრაფოდ ჩამოხსნეს ს.ს. „ინტელექტბანკის“ აბრები და მათ ადგილზე ს.ს. „საქართველოს ბანკის“ აბრები განათავსეს, მათ დაიბარეს ს.ს. „ინტელექტბანკის“ მეანაბრეები, დეპოზიტარები და მსესხებლები და თითქოსდა მათივე სურვილით, გაუხსნეს საბანკო ანგარიშები ს.ს. „საქართველოს ბანკში“ და თვითონვე დაიწყეს ს.ს. „ინტელექტბანკში“ არსებული საბანკო ანგარიშებიდან, ს.ს. „საქართველოს ბანკში“ ახლადგახსნილ ანგარიშებზე ფულადი სახსრების გადატანა.

ყოველივე ეს ხდებოდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ დროებითი ადმინისტრაციის (ხელმძღვანელი გ. ქადაგიძე) თვალწინ და მათი უშუალო მონაწილეობით და დავალებით და ეს მაშინ, როდესაც ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივები და პასივები, ჯერ კიდევ, ოფიციალურად არ იყო გადაცემული ს.ს. „საქართველოს ბანკისთვის“.

აღნიშნული პროცესების ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ დროებითი ადმინისტრაციის შესვლიდან, ორ დღეში, კვირას 2006 წლის 12 თებერვალს, მას-მედიის სხვადასხვა საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ს.ს. „ინტელექტბანკი“ ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ შეიძინა და ეს მისთვის წარმოადგენდა კარგ შენაძენს. აღნიშნული ინფორმაცია, სატელევიზიო ფორმით, გავრცელებულ იქნა ს.ს. „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის (მომდევნო წლებში - საქართველოს პრემიერ-მინისტრის) ვლადიმერ გურგენიძის მიერ. ბანკის 2006 წლის 12 თებერვალს გასხვისების ფაქტზე, საგაზეთო ინტერვიუში საუბრობს საქართველოს ეროვნული ბანკის მაშინდელი პრეზიდენტი რომან გოცირიძე. 2006 წლის 13 თებერვლის რადიო „თავისუფლება“ საზოგადოებას საჯაროდ ამცნობს ს.ს. „ინტელექტბანკის“ გასხვისების ისტორიას. „ამ დღეებში, საქართველოს საბანკო სექტორში, ერთ-ერთი მსხვილი გარიგება განხორციელდა. 12 თებერვალს პრემიერ-მინისტრმა, ზურაბ ნოღაიდელმა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, რომან გოცირიძემ გამოაცხადეს, რომ „ინტელექტბანკის“ აქტივები და პასივები „საქართველოს ბანკმა“ შეიძინა. პრემიერ-მინისტრის სიტყვებით, „ინტელექტბანკში“ ჩატარებულმა შემოწმებამ აჩვენა, რომ აღნიშნული ბანკი შეიძლება სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩენილიყო. ამიტომ ეროვნულმა ბანკმა და მთავრობამ მისი გაყიდვის სწრაფი გადაწყვეტილება მიიღეს, აღნიშნა ნოღაიდელმა. „ინტელექტბანკის“ „საქართველოს ბანკთან“ შერწყმის პრეზენტაცია 13 თებერვალს, საღამოს 7 საათზე უნდა გამართულიყო, მაგრამ ცერემონია მოულოდნელად გადაიდო, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გარიგება არ შედგა ან რაიმე შეიცვალა“ - აღნიშნავს ჟურნალისტი საკითხზე მომზადებულ სიუჟეტში.⁴ ის ფაქტი, რომ ს.ს. „ინტელექტბანკის“ ს.ს. „საქართველოს ბანკისთვის“ ფაქტობრივი გასხვისება, დროებითი ადმინისტრაციის შესვლიდან მეორე დღეს 2006 წლის 11 თებერვალს მოხდა, დასტურდება 2006 წლის 22 თებერვლის გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციით, სადაც მითითებულია, რომ 2006 წლის 12 თებერვლიდან შემდგომი ერთი თვის განმავლობაში, ს.ს. „ინტელექტბანკის“ კლიენტებს, რომლებიც უახლოეს მომავალში ს.ს. „საქართველოს ბანკის“ კლიენტები გახდებოდნენ, ანაბრებზე დაერიცხებოდათ დამატებითი სარგებელი, 0.5 %-ის ოდენობით.⁵

2006 წლის 12 თებერვალს, ს.ს. „ინტელექტბანკის“ ოფიციალური გაყიდვა მართლაც გამოცხადდა და ისევ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიერ გამოცემულ დოკუმენტზე დაყრდნობით, ს.ს. „საქართველოს ბანკმა“, ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივებისა და პასივების შესყიდვა მოახდინა 1 ლარად. საყურადღებოა, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ აუდიტორულ ანგარიშებზე დაყრდნობით, ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ ს.ს. „ინტელექტბანკის“ შესყიდვა მოახდინა 2006 წლის 21 თებერვალს, თუმცა მან ბანკი, ფაქტობრივად, 2006 წლის 11 თებერვალს მიისაკუთრა, რასაც ადასტურებს, როგორც საგაზეთო მასალები, ასევე რომან გოცირიძის, ვლადიმერ გურგენიძის და საქართველოს მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ნოღაიდელის საჯარო განცხადებებიც.

ზემოთაღნიშნული ფაქტებიდან დგინდება, რომ 2006 წლის 10 თებერვალს, პარასკევ დღეს, 18:00-ზე, ს.ს. „ინტელექტბანკში“, გიორგი ქადაგიძის ხელმძღვანელობით შესულმა დროებითმა ადმინისტრაციამ, რომლის მიზანი ოფიციალურად ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება იყო, უარი უთხრა ბანკის აქციონერებს და რეალურ ინვესტორს (ს.ს. „უკრაინაბანკი“) ს.ს. „ინტელექტბანკში“ ინვესტიციების განხორციელებებზე, ბანკის შენობაში ჩაკეტა ს.ს. „ინტელექტბანკის“ თანამშრომლები, რომლებსაც აიძულებდნენ ხელი მოეწერათ დროებითი ადმინისტრაციის მიერ შედგენილ, გაყალბებულ თუ შეცვლილ საბუთებზე. მის მიერვე გაყალბებულ საბუთებზე დაყრდნობით, ხელოვნურად შექმნა

⁴ რადიო „თავისუფლება“, 13 თებერვალი, 2006, ჟურნალისტ კახა მჭედლიძის სიუჟეტი. ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული სტატიის სათაური: „რატომ გაიყიდა “ინტელექტბანკის” აქტივები და პასივები“.

⁵ გაზეთი „24 საათი“, 22 თებერვალი, 2006, #37, გვ.5, ჟურნალისტ მარი ნარჩენაშვილის სტატია: „220 ათასს +25 ათასი“.

სურათი ს.ს. „ინტელექტბანკის“ არაჯანსაღი ფინანსური მდგომარეობის შესახებ და ამ პროცესების პარალელურად, ისე რომ ოფიციალურად ს.ს. „ინტელექტბანკი“ ისევ მის აქციონერებს ეკუთვნოდა, დროებითმა ადმინისტრაციამ ბანკი სამართავად უკანონოდ გადაცა ს.ს. „საქართველოს ბანკს“ მომდევნო დღის დილითვე, ანუ შაბათ დღეს, 2006 წლის 11 თებერვალს.

2006 წლის 21 თებერვალს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო, რაც სიახლეს წარმოადგენდა იმჟამად საბანკო სფეროსთვის. სებ-მა ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიმართ, შეღავათიანი პირობებით გასცა კრედიტი, 20 000 000 ლარის ოდენობით, 2 წლის ვადით, საპროცენტო განაკვეთით 6.2% და ამ %-ის ბოლოს, სესხთან ერთად დაფარვის პირობით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ოდენობით სესხის გაცემა, ფაქტობრივად, ფულის ემისიის ტოლფასი იყო, აღნიშნული სესხი, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასცა მაშინ, როცა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, სესხის გაცემამდე დაახლოებით 2 კვირით ადრე, მას აძლევდა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს, მიმოქცევიდან უნდა ამოეღო ჭარბი ფული. აღნიშნული სესხის გაცემამდე, 1 დღით ადრე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, 2006 წლის 20 თებერვლის N57 ბრძანებით, დამტკიცებულ იქნა დებულება „საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის მიერ კომერციული ბანკებისთვის კრედიტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ რომლის თანახმადაც, გაუქმდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2001 წლის 13 ივნისის N148 ბრძანებით დამტკიცებული დებულება „საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის მიერ, კომერციული ბანკებისთვის კრედიტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“. ახალი ბრძანებით დამტკიცებული დებულებით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ფაქტობრივად, თავად მიიღო განუსაზღვრელი უფლება კომერციული ბანკებისთვის გასაცემი სესხების პირობების დასადგენად, ისევე როგორც აღნიშნული დებულების საფუძველზე, მისი მიღებიდან მეორე დღესვე, 2006 წლის 21 თებერვალს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ს.ს. „საქართველოს ბანკისთვის“ 20 მლნ. ლარის, 2 წლის ვადით სესხად გაცემა წარმოადგენდა საკამათო და არამართლზომიერ ქმედებას. გარდა ასეთი უპრეცედენტო ოდენობის და საპროცენტო განაკვეთის სესხისა, სებ-მა ს.ს. „საქართველოს ბანკი“, ერთი წლის ვადით გაათავისუფლა საბანკო ნორმატივების შესრულების ვალდებულებისგან. მხოლოდ ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივების დაუფლების გზით და ასეთი ოდენობის სესხის მიღებით და ასევე, ნორმატივებისგან გათავისუფლებით, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ სებ-ის მხარდაჭერით, საქართველოში ლიდერი ბანკის სტატუსის მატარებელი გახდა. აღსანიშნავია, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიმართ სესხის გამოყოფამდე 1 დღით ადრე, 2015 წლის 20 თებერვალს, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ს.ს. „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმიც, სადაც ს.ს. „ინტელექტბანკში“ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მმართველობის საკითხმა, მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა.

აქვე საყურადღებოა, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკმა“, 20 მლნ. ლარის სესხის აღების შემდეგ, დაახლოებით ორ კვირაში, თბილისის ბანკთაშორის ბირჟაზე, გაასესხა იმავე ოდენობის (20 მლნ. ლარი) თანხა ოღონდ 16 %-ად ანუ იკვეთება, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ სებ-ისგან აღებული თანხა, ისე რომ მას არანაირი სხვა ღონისძიება არ გაუტარებია, 10 %-იანი მოგებით გაასესხა სხვა ბანკზე/ბანკებზე. ამ ოპერაციაზე, სებ-მა თვალი დახუჭა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ქვეყნის მაშინდელი პოლიტიკური ისტებლიშმენტის წახალისებით, წარმოადგენდა სებ-ის ფავორიტი ბანკის და მისი ასეთი სტატუსი ქართულ საბანკო სისტემაში ცალკეული შეუბოჭავი მოქმედებების შესაძლებლობას ტოვებდა.

მხოლოდ 2006 წლის 22 თებერვლს, მას შემდეგ, როცა ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივებსა და პასივებს, უკვე რეალურად, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ მართავდა, ს.ს. „ინტელექტბანკის“ დროებითი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მიერ, შედგენილი იქნა სესხებზე რევიზიის დოკუმენტი, რომელიც ასახავდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ საკრედიტო პორტფელზე არსებული რეზერვების მდგომარეობას. აღნიშნული დოკუმენტი, თავდაპირველად დათარიღდა მისი რეალურად შედგენის თარიღით - 2006 წლის 22 თებერვლით, ხოლო შემდეგ, დროებითი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მიერ შეცვლილი იქნა დოკუმენტის შედგენის თარიღი და მიეთითა, რომ თითქოს ეს დოკუმენტი

შედგენილ იქნა 2006 წლის 12 თებერვალს. ეს ფაქტი, ასევე, დანაშაულის შესაძლო ნიშნებს ატარებს საქმეზე მიმდინარე გამოძიების შესასწავლია.

2006 წლის 26 თებერვალს ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა ინგლისურენოვანი ანგარიში: making another step toward banking sector consolidation, რომლის მიხედვითაც, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ტრანზაქციულ გამჭვირვალობად მიიჩნევდა იმ ფაქტს, რომ მან შემჭიდროვებულად მოკლე ვადაში - 60 საათის განმავლობაში მოიგო ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივებისა და პასივების გასაყიდად გამართული აუქციონი. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ამ ტრანზაქციის შედეგად, ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ მიიღო 8 000 000 ლარის წმინდა და საიმედო სასესხო პორტფელი. ანგარიშის თანახმად, ამ ტრანზაქციის შემდეგ, ბანკს გაუჩნდა 3-4 მლნ. ლარის არამოქმედი სესხის აღდგენის საფუძვლიანი ვარაუდი. როგორც ანგარიშიდან ირკვევა, ს.ს. „ინტელექტბანკის“ შერწყმით, ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ მიიღო დამატებითი შემოსავალი 12 000 000 ლარის ოდენობით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ ს.ს. „ინტელექტბანკის“ შერწყმით მიიღო არა 12 მლნ ლარის არამედ გაცილებით მეტი მოგება. მან მიიღო არა 12 000 000 მლნ. ლარის საკრედიტო პორტფელი, არამედ ს.ს. „ინტელექტბანკის“ შერწყმით, ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ მიიღო 30 მლნ. ლარზე მეტი საკრედიტო დაბანდება, რომელთაგან, არსებული მონაცემებით, დაიფარა 80% და ეს ის საკრედიტო დაბანდებაა, რომელიც სებ-ის დროებითმა ადმინისტრაციამ (გ. ქადაგიძე) ს.ს. „ინტელექტბანკს“ ე.წ. „უიმედო სესხებად“ ჩაუთვალა და შესაბამისი თანხების დარეზერვება მოთხოვა. ეს სარგებელი ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ წმინდა მოგების სახით მიიღო პირად ანგარშზე. ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიერვე გამოქვეყნებული რეპორტებიდან (აუდიტორილი დასკვნები და სხვა), აგრეთვე სხვადასხვა სახის ოფიციალური დოკუმენტებიდან (making another step toward banking sector consolidation) ჩანს, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკი“ თავად უაღრესად კარგ შენაძენად აფასებს ს.ს. „ინტელექტბანკს“, რასაც შემდეგნაირად აღწერს:

- საქართველოს ბანკმა მიიღო 25 000 საცალო კლიენტი, დაახლოებით 7 000 საბარათე ანგარიში, რითაც გაუმჯობესდა ბანკის წილი საცალო საბანკო მომსახურების სეგმენტში. ბანკს მიეცა ჯეროვანი გაყიდვების მნიშვნელოვანი შესაძლებლობები;
- ს.ს. „საქართველოს ბანკი“ გახდა გენერალური აგენტი და მიიღო ქვე-აგენტის ურთიერთობის ლიცენზია, რითაც გაიუმჯობესა პოზიციები ფულადი გადარიცხვების სეგმენტში;
- ს.ს. „საქართველოს ბანკი“ გახდა გლობალური ფულადი გადარიცხვების მომსახურებაში მოქმედი პარტნიორი, რითაც გაიუმჯობესა პოზიციები ფულადი გადარიცხვების სეგმენტში;
- ს.ს. „საქართველოს ბანკი“ გახდა amex-ის ბარათების ერთადერთი დისტრიბუტორი საქართველოში, რაც კარგად შეუთავსა ბანკის კერძო საბანკო მომსახურების ფრანჩიზას;
- ს.ს. „საქართველოს ბანკი“ გახდა მულტი-საბანკო ბარათების დამუშავების პლატფორმაში 49%-იანი წილის მესაკუთრე, რაც კარგად შეუთავსა ს.ს. „საქართველოს ბანკის“ საკონტროლო პაკეტს „ჯორჯიან ქარდში“, რომელიც ერთადერთი მეორე მულტი-საბანკო ბარათების დამუშავების პლატფორმაა;
- ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ მიიღო 18 სერვის-ცენტრი, მათ შორის რამდენიმე ისეთ რეგიონში, სადაც მას წარმომადგენელი არ ჰყავდა, რითაც განამტკიცა საკუთარი საცალო საბანკო მომსახურების ზონა;
- ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ მიიღო არაერთი კორპორატიული კლიენტი, მათ შორის „გაერო“ რითაც გააუმჯობესა საკუთარი CIB ფრანჩიზა;

- ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ მიიღო წმინდა სასესხო პორტფელი 8 000 000 ლარის ოდენობით, რითაც გააუჯობესა საკუთარი CIB ფრანჩიზა;
- ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ მიიღო 3-4 მლნ. ლარის ოდენობის არამომგებიანი სესხების ამოღების შესაძლებლობა, რითაც ერთჯერადად გაიუმჯობესა ბანკის შემთხვევითი შემოსავლები.

მხოლოდ საკომისიოებიდან, სუფთა შემოსავლებით, ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ სტაბილურად მიიღო წელიწადში 3 500 000 ლარზე მეტი შემოსავალი, რომლებიც შემდგომ წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა (bank of Georgia announces the acquisition of assets and liabilities of intellectbank, adds significant retail client base) გარდა აღნიშნულისა, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ 2006 წლის კონსოლიდირებულ ბალანსში, რომელსაც მსოფლიოში ცნობილი აუდიტორული კომპანია Ernst & Young-ი ამოწმებს, ვკითხულობთ, რომ ს.ს. „ინტელექტბანკის“ შეძენის გარიგება, მიღებული 20 მლნ. ლარის სესხის და ნორმატივების შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლების ჩათვლით, ს.ს. „საქართველოს ბანკისთვის“ იყო კარგი სინერგია (და არა მარტო მათემატიკურად შერწყმა), რითაც საგრძნობლად გაუმჯობესდა ბანკის მდგომარეობა.

ზემოთაღნიშნულით, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ აღიარებს, რომ ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივები მისთვის მომგებიანი აღმოჩნდა, რაც არ მოდის თანხვედრაში სეზ-ის დროებითი ადმინისტრაციის (გ. ქადაგიძე) დასკვნებთან ს.ს. „ინტელექტბანკის“ შესახებ ანუ, გამოდის, რომ ს.ს. „ინტელექტბანკი“ წამგებიანი ბანკი იყო და იგი საფრთხეს უქმნიდა საქართველოს საბანკო სისტემას, თუმცა მისი აქტივების ხელში ჩაგრებით, წარმატებით ისარგებლა ს.ს. „საქართველოს ბანკმა“, რაც მარტივად, რომ ვთქვათ, ლოგიკას მოკლებულია.

მიუხედავად ქვეყნის სასამართლო სისტემაში იმ დროს არსებული მდგომარეობისა, 2006 წლის მარტში, ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერებმა, საქმესთან დაკავშირებით, სამართლებრივი დავა დაიწყეს.⁶ ბანკის აქციონერებმა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს ეროვნული ბანკის წინააღმდეგ. დავაში მესამე პირად ჩაერთო ს.ს. „საქართველოს ბანკი“. სასამართლოს წინაშე, ს.ს. „ინტელექტბანკმა“ ერთადერთ სასარჩელო მოთხოვნად საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 10 თებერვლის #68 განკარგულების ბათილად ცნობა დააყენა, რომლის მიხედვითაც, ს.ს. „ინტელექტბანკში“ დროებითი ადმინისტრაცია დაინიშნა. სასარჩელო მოთხოვნა არ სცნეს არც საქართველოს ეროვნული ბანკის კანონიერი ინტერესების დამცველებმა და არც ს.ს. „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენლებმა.

ს.ს. „ინტელექტბანკის“ სარჩელში გამოთქმული პოზიციით, 2006 წლის 10 თებერვალს ს.ს. „ინტელექტბანკის“ სათაო ოფისში და სხვა ფილიალებში შემოვიდა საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციის მიერ დანიშნული დროებითი ადმინისტრაცია, რაზედაც მათთვის, როგორც აქციონერებისთვის და ს.ს. „ინტელექტბანკის“ ადმინისტრაციისთვის, ცნობილი არ ყოფილა, ხოლო 11 თებერვალს, დროებითი ადმინისტრაციასთან ერთად, სრულიად უკანონოდ შეიჭრა „საქართველოს ბანკი“, რომელიც დღემდე მონაწილეობს მათი ქონების სრულიად უკანონო მართვა განკარგვაში და ადგილი აქვს მათი კუთვნილი ქონების მითვისებას. **(შენიშვნა: იგულისხმება ფაქტების კონსტატაცია 2006 წლის მარტის მდგომარეობით-ავტ.)** აღნიშნული მოქმედებები ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით. საქართველოს ეროვნული ბანკის და ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებებით დარღვეულ იქნა მთელი რიგი კანონმდებლობა. მოსარჩელე მხარე განმარტავს, რომ 2006 წლის 21 თებერვალს, ოფიციალურად წერილობით მიმართეს საქართველოს ეროვნულ ბანკს და მოითხოვეს ყველა მტკიცებულებების გადაცემა. 2006 წლის 2 მარტს მიიღეს პასუხი, რომელზეც თანდართული იყო 2006 წლის 10 თებერვლის საქართველოს ბანკის ვიცი-პრეზიდენტის განკარგულება N68, ხოლო რაც შეეხება ხელშეკრულებას, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიერ ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივებისა და

⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, საქმე: #3/2394

ვალდებულებების ყიდვის შესახებ, მიუხედავად მათი მოთხოვნისა, დღემდე არ მიუწოდებიათ. ამით, დარღვეული იქნა საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, პირველი მუხლის პირველი ნაწილი. 59-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილი და ამავე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქ/პუნქტი, სადაც მითითებულია, რომ „დროებითი ადმინისტრატორის ან ლიკვიდატორის მეშვეობით ხელი შეუწყოს გადახდის უუნარო ბანკის შეერთებას სხვა კომერციულ ბანკთან, მისი აქტივ-პასივების ან მათი ნაწილის გადაცემას თავის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.“ გაურკვეველია, თუ რომელი დადგენილებითა და გადაწყვეტილებით იქნა გადახდისუუნაროდ ცნობილი ს.ს. „ინტელექტბანკი“, რადგან ამავე მუხლის მე-10 ნაწილში მითითებულია, რომ „კომერციული ბანკი და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება მხოლოდ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოცხადდეს გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად ეროვნული ბანკის მიერვე დადგენილი წესით.“ აღნიშნული მათთვის არც არავის გაუცნია და მათი ინფორმაციით, ანალოგიური დადგენილება საერთოდ არ არსებობს, ვერც იარსებებს, რადგან ს.ს. „ინტელექტბანკი“ არასოდეს არ ყოფილა გადახდისუუნარო. ამდენად, ეროვნული ბანკის ადმინისტრაციამ, როგორც კი გაიგო, რომ მათ მიერ მოძებნილია სპონსორი ბანკში არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად, გაუგებარი მიზეზებით განხორციელებულ იქნა უკანონო ქმედებები და ნაცვლად იმისა, რომ დროებით ადმინისტრაციას გამოეწერებინა არსებული მგომარეობა, უფლებამოსილების გადამეტებით, შენობაში შემოიყვანა სხვა კომერციული ბანკი, რომელიც სრულიად უკანონოდ დღემდე ახორციელებს უკანონო მოქმედებებს.

მოსარჩელე მხარის განმარტებით არ არსებობს სამართლებრივი რეგულირების ფორმა, რომელმაც კანონიერ ჩარჩოში შეიძლება მოაქციოს „საქართველოს ბანკისა“ და ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ქმედება. დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნისას და მათ მიერ საქმიანობის განხორციელებისას, დარღვეული იქნა საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ 31-ე, 33-ე, 34-ე მუხლის მოთხოვნები, რადგან არ არსებობდა არანაირი საფუძვლები დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ.

2006 წლის 25 ივლისის დანიშნულ სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერებმა და წარმომადგენლებმა წარმოდგენილ სარჩელს მხარი დაუჭირეს, ითხოვეს მისი დაკმაყოფილება და განმარტეს, რომ ორგანული კანონის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად, „ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებისთვის გამოსცეს შესაბამისი დადგენილებები, ბრძანებები, დებულებები, წესები, ინსტრუქციები, სახელმძღვანელოები, მითითებები. განხორციელოს შესაბამისი ღონისძიებები და დააწესოს სანქციები, რომელსაც იგი საჭიროდ მიჩნევს საფინანსო საკრედიტო სისტემის სიმტკიცისათვის“. კანონის შესაბამისად, კომერციულ ბანკში დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნა უნდა განხორციელდებოდეს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილებით ან ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით, ხოლო ადმინისტრაციული აქტი ს.ს. „ინტელექტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ მიიღო ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა, განაკრგულების ფორმით. მაშინ, როდესაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ასრულებდა სამსახურეობრივ მოვალეობას, 2006 წლის 10 თებერვალს ადმინისტრაციული აქტი გამოცემული იქნა ვიცე-პრეზიდენტის მიერ. ამიტომაც, აღნიშნული ადმინისტრაციული აქტი მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული აქტი. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობდა ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება, ს.ს. „ინტელექტბანკის“ გადახდისუუნაროდ გამოცხადების შესახებ, დროებით ადმინისტრაციას უფლება არ ჰქონდა, სააქციო საზოგადოების აქტივ-პასივების სხვა ბანკისთვის გადაეცა-გაესხვისებია. ამდენად, დროებითი ადმინისტრაციის მიერ შესვლის პირველსავე დღიდან განხორციელებულმა მოქმედებამ არა ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება გამოიწვია, არამედ სააქციო საზოგადოება ფაქტობრივ ლიკვიდაციამდე მიიყვანა. შესაბამისად, მოსარჩელე მხარემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60-ე და 60 (1)-ე მუხლების შესაბამისად, მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2006 წლის N10 თებერვლის N68 განკარგულება. ასევე ბათილად იქნეს ცნობილი ამ განკარგულების საფუძველზე მოქმედი დროებითი ადმინისტრაციის მიერ გამოცემული აქტები და დადებული გარიგებები.

2006 წლის 25 ივლისის სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა მოპასუხე საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმა სარჩელს მხარი არ დაუჭირეს და განმარტეს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი გაეცნო ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერთა სასარჩელო განცხადებას, არ ეთანხმება მას და მიაჩნია უსაფუძვლოდ შემდეგ გარემოებათა გამო, კერძოდ, მოპასუხე მხარის განმარტებით, მოსარჩელე მხარე მართებულად მიუთითებს, რომ კომერციული ბანკი გადახდისუუნარო და გაკოტრებულად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით შეიძლება გამოცხადდეს, მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ს.ს. „ინტელექტბანკი“ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არ გამოცხადებულა გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად. რაც შეეხება დროებით ადმინისტრატორის უფლებამოსილებას, გაესხვისებინა ბანკის აქტივები და ვალდებულებები, აღნიშნული პირდაპირაა გათვალისწინებული „კომერციული ბანკების საქმიანობის“ შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნულ დროებით ადმინისტრატორს უფლება აქვს მიიღოს აუცილებელი ზომები კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისთვის ფილიალების, წარმომადგენლობების და სხვა ქვედანაყოფების გაყიდვის ან დახურვის, სახსრების გადახდის ან მათი გადახდის შეჩერების, ბანკის მომსახურეთა გათავისუფლების ჩათვლით. აგრეთვე, დროებითი ადმინისტრაციის მართვის ქვეშ მყოფი ბანკის სხვა კომერციულ ბანკისთვის შერწყმით, ბანკის კაპიტალის განახლებით ან მისი აქტივების და ვალდებულებების ან მათი ნაწილის გასხვისებით სხვა ბანკზე“. მოპასუხემ განმარტა, რომ მოსარჩელების მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად მითითებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60 (1) მუხლის პირველი ნაწილი, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, თუმცა მოსარჩელების მიერ არ არის მითითებული და დასაბუთებული, თუ ეროვნული ბანკის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისას, კანონმდებლობით დადგენილ რა დარღვევებს ჰქონდა ადგილი. მოპასუხის განმარტებითვე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი უფლებამოსილა მოახდინოს საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტებს შორის ფუნქციების განაწილება, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2005 წლის 18 ოქტომბრის N187 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტებს უფლება ჰქონდათ, გამოეცათ განკარგულებები ბრძანებით გათვალისწინებული ფუნქციების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ დავასთან დაკავშირებით, იდენტური პოზიცია გამოთქვა სხდომაზე გამოცხადებულმა მესამე პირმა ს.ს. „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენელმა. მან მხარი დაუჭირა საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლების ახსნა-განმარტებას და ითხოვა არ დაკმაყოფილებულიყო სასარჩელო განცხადება უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

2006 წლის 26 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ნინო ონიანის მოსამართლეობით, საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც ს.ს. „ინტელექტბანკის“ სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.⁷ როგორც სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღინიშნა, სასამართლო 2006 წლის 10 თებერვლის N68 განკარგულების ბათილად ცნობის წინაპირობებს ვერ ხედავდა, რადგანაც საფუძვლიანად მიიჩნია ის გარემოებები, რომ ა) ბანკი ვერ უზრუნველყოფდა საზედამხედველო კაპიტალის შენარჩუნებას, ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაციის მოქმედებები წარმოადგენდა გარდაუვალ ღონისძიებებს და დ/ადმინისტრაცია მოქმედებდა კანონის საფუძველზე, ხოლო გ) სეზ-ის ვიცე-პრეზიდენტის მიერ დროებითი ადმინისტრაციის ს.ს. „ინტელექტბანკში“ შესვლის განკარგულება გამომდინარეობდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2005 წლის ოქტომბრის N187 ბრძანების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო პროცესის პარარელურად და მის დასრულებამდე, 2006 წლის 30 მაისს, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ეკატერინე გალდავამ მიიღო #426 განკარგულება „დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების

⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე #3/2394, მოსამართლე ნინო ონიანი.

შესახებ“, რომლის მიხედვითაც, ს.ს. „ინტელექტბანკის“ დროებით ადმინისტრაციას, საქართველოს ეროვნული ბანკის ასევე ვიცე-პრეზიდენტის 2006 წლის 2 მაისის N325 განკარგულებით განსაზღვრული შემადგენლობით და პირობებით, მოქმედების ვადა 2006 წლის 1 ივლისამდე გაუგრძელდა.

ორგანიზაციამ შეისწავლა საქმეზე შემდგომი სამართალწარმოების პროცესიც, რომელიც ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერებმა სააპელაციო ეტაპზე აწარმოეს. 2007 წლის 13 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განიხილა ს.ს. „ინტელექტბანკის“ წარმომადგენელთა საჩივარი, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა მხარეთა მოთხოვნა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება. სასამართლომ განმარტა რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგეს შეაფასოს კომერციული ბანკის მიერ დაშვებული დარღვევის ხარისხი მისი თანმდევი მოსალოდნელი რისკების შესაბამისად. იგი უფლებამოსილია თანმიმდევრულობის გაუთვალისწინებლად განსაზღვროს სანქციის სახე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხე გასაჩივრებული განკარგულების მიღებისას მოქმედებდა მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მოსარჩელეს ამ კუთხით დასაბუთებული საჩივარი არ წარუდგენია“. ამასთან, სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ „კომერციული ბანკების ზედამხედველობა მოიცავს მის მიმართ სანქციების გამოყენებას, მათ შორის დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებასაც.⁸ ამასვე ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 5 აგვისტოს წერილიც ორგანიზაციის მიმართ, რომლის მიხედვითაც, „საქართველოს უზენაესი სასამართლოში არ შემოსულა საქმე, რომლის მხარეები იყვნენ: მოსარჩელე - ს.ს. „ინტელექტბანკი“, მოპასუხე - საქართველოს ეროვნული ბანკი, მესამე პირი - ს.ს. „საქართველოს ბანკი“.⁹ ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერებს, სასამართლო დავები აღარ გაუგრძელებიათ, რადგან სამართლებრივი გზით მოქმედებების გაგრძელების შეჩერებაზე გავლენა იქონია მაშინდელი ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა ზეწოლის ფაქტებმა: კერძოდ, პროკურატურამ დააკავა (ფაქტობრივად მძევლად აიყვანა) ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე, ცენტრალური ფილიალის დირექტორი და ბანკის მთავარი ბუღალტერი. დაიწყო ბანკის მესვეურთა მიმართ დაშინების პროცესი. დაკავებულ პირებთან მოგვინებით, გაფორმდა საპროცესო შეთანხმებები და ისინი გათავისუფლდნენ პატიმრობიდან, თუმცა ამ ვითარებაში, დავის სასამართლო ხელისუფლების შტოში გაგრძელება, ამ და შესაძლოა სხვა პირების მრავალი წლით პატიმრობას გამოიწვევდა, რაზედაც იყო პირდაპირი მინიშნება.

მალევე, ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივებისა და პასივების ს.ს. „საქართველოს ბანკისთვის“ გადაცემის დასრულებისთანავე, სეზ-ის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, გიორგი ქადაგიძე, გადაყვალდა იქნა საქართველოს პოკურატურაში, საიდანაც, 2007 წლის ისევ დააბრუნეს სეზ-ში სადაც 2007-2008 წ.წ. იკავებდა ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის თანამდებობას, ხოლო 2008-2009 წ.წ. იკავებდა საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის თანამდებობას და 2009 წლის 26 თებერვლიდან, 7 წლის ვადით, სეზ-ის საბჭოს თავმჯდომარედ (სეზ-ის პრეზიდენტი) დაინიშნა.

2006 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ ეკატერინე გალდავას #974 განკარგულების თანახმად, ს.ს. „ინტელექტბანკს“ საბანკო საქმიანობის ლიცენზია შეუწყდა. აღნიშნული განკარგულების მიხედვით, სეზ-მა განახორციელა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

- დასრულდა .სს „ინტელექტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციული რეჟიმი, ბანკი გამოცხადდა გადახდიუუნაროდ და გაუუქმდა საბანკო საქმიანობის ლიცენზია;

⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე #3ბ-3425-06, მოსამართლე თამაზ ურთმელიძე.

⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო განყოფილების უფროსის, გოჩა დიდავას 2015 წლის 5 აგვისტოს #3-139-15 წერილი.

- დაიწყო ს.ს. „ინტელექტბანკში“ ლიკვიდაციის პროცესი, ლიკვიდაცია დაიწყო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- მამუკა ტოვიშვილი დაინიშნა ს.ს. „ინტელექტბანკში“ ლიკვიდატორად, რომელსაც დაევა სალიკვიდაციო სამუშაოები განხორციელებინა „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების დაცვით;
- საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო დეპარტამენტმა ს.ს. „ინტელექტბანკის“ სარეკომენდაციო ანგარიში გარდაქმნა სალიკვიდაციო ანგარიშად და ერთდროულად დაუხურა ბანკს ეროვნულ ბანკში არსებული ანგარიშები.
- განკარგულების გამოცემიდან 5 დღეში ბანკისთვის ლიცენზიის გაუქმების შესახებ ეცნობა ს.ს. „ინტელექტბანკის“ მარეგისტრირებელ ორგანოს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

2009 წლის 6 მაისს, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის, N06-05/მ განკარგულების შესაბამისად, დასრულდა ბანკის გაკოტრებისა და ლიკვიდაციის პროცედურა.

2009 წლის 9 აგვისტოს, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის წერილის საფუძველზე, ს.ს. „ინტელექტბანკი“ ამოღებულ იქნა სამეწარმეო რეესტრიდან.

2010 წლის 13 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის N 2-13/2296 წერილით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურს ეცნობა, რომ ს.ს. „ინტელექტბანკი“ გამოცხადდა გაკოტრებულად. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნულმა ლიკვიდატორმა, ისე გაუკეთა ლიკვიდაცია ს.ს. „ინტელექტბანკს“, რომ დღემდე მის ბალანსზე ირიცხება და მცურავი საშუალება - მშრალტვირთმიდი გემი „ინტელი“, რომელიც ბანკს სესხის უზრუნველსაყოფად იყო დატვირთული საზღვაო იპოთეკით და დარჩა ბანკის საკუთრებაში.

2013 წლის 06 თებერვალს, ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერთა სახელით, კახა გიუაშვილის ავტორობით, საჩივრის წერილით მიემართა საქართველოს მთავარ პროკურორს,¹⁰ სადაც მოთხოვნილ იქნა დანაშაულის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიების დაწყება და სახელმწიფოს მხრიდან აქციონერების დაზარალებულად ცნობა. საჩივარი დასაბუთდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე (თავისუფლების უკანონო აღკვეთა), 147-ე (განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება), 150-ე (იძულება), 181-ე (გამოძალვა), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) და 333-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მიხედვით. საჩივარს თან დაერთო საქმეში მხარისთვის არსებული ყველა მტკიცებულება.

2015 წლის აპრილში, ს.ს. „ინტელექტბანკის“ ერთ-ერთმა აქციონერმა, ნუგზარ ხუნდაძემ განცხადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს და ჩართულობა ითხოვა საქართველოს მთავარ პროკურატურაში ბანკის გაკოტრების საქმეზე სწრაფი და ეფექტური საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისათვის. 2015 წლის 6 მაისს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა წერილით მიმართა¹¹ საქართველოს მთავარ პროკურატურას და ს.ს. „ინტელექტბანკის“ საქმესთან დაკავშირებით, პროკურატურის მხრიდან განხორციელებული რეაგირების შესახებ, ინფორმაცია ითხოვა. კერძოდ:

¹⁰ ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერთა 2013 წლის 13 ივნისის საჩივარი საქართველოს მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილის მიმართ.

¹¹ საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილის, ნათია კაციტაძის 2015 წლის 6 მაისის წერილი #04-20/3421 საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის, გიორგი გოგაძის მიმართ.

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით მიმდინარეობს გამოძიება და რა საგამოძიებო მოქმედებებია ჩატარებული მოცემულ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში (მიუთითეთ შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თარიღები)
2. რომელი საგამოძიებო ერთეული იძიებს მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს?
3. არის თუ არა მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე რომელიმე პირი/პირები ცნობილი დაზარალებულად?
4. დაწყებულია თუ არა სისხლის სამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის/პირების მიმართ მოცემულ საქმეზე?
5. რა ეტაპზეა ამჟამად აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და მიღებულია თუ არა შემაჯამებელი გადაწყვეტილება საქმის სასამართლოსთვის გადაცემის თაობაზე?

2015 წლის 18 მაისის საქართველოს მთავარი პროკურატორის #13/31802 წერილის თანახმად, ცნობილი გახდა, რომ „საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის #074150213802 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები. მოწმის სახით დაიკითხნენ ს.ს. „ინტელექტანკის“ აქციონერები. მათ შორის, 2013 წლის 9 აპრილს, საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა ს.ს. „ინტელექტანკის“ ერთ-ერთი აქციონერი ნუგზარ ხუნდაძე. გამოძიების მიერ ამოღებულ იქნა სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია. აღნიშნული საქმის ფარგლებში დაზარალებულად ან/და ბრალდებულად ამ ეტაპზე, კონკრეტული პირი ცნობილი არ არის. გამოძიება გრძელდება“.¹² აღსანიშნავია, რომ ნუგზარ ხუნდაძემ საქმეზე ჩართულობის და პოზიციის გამოხატვის მოთხოვნით, აგრეთვე მიმართა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტსა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას. 2015 წლის 8 მაისის #4562 წერილით,¹³ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ნუგზარ ხუნდაძის განცხადება დაამისამართა საქართველოს პროკურატურაში. ასევე, საქართველოს პროკურატურის მიმართ გაიგზავნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის #2442/4-2 წერილიც, სადაც აღინიშნა, რომ „განმცხადებლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ პროკურატურის მხრიდან სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურების გამო და მოითხოვენ საქმის გონივრულ ვადაში დასრულებას“.¹⁴

¹² საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსის, მაია კვირიკაშვილის 2015 წლის 18 მაისის #13/31802 წერილი.

¹³ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კორესპონდენციის დეპარტამენტის უფროსის, ეკატერინე ჭითაშვილის 2015 წლის 8 მაისის #4562 წერილი.

¹⁴ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას 2015 წლის 16 მარტის #2442/4-2 წერილი მთავარი პროკურორის მიმართ.

3. საკითხის ფაქტობრივი მხარე

ორგანიზაციამ 2015 წლის 13 ივლისს წერილით მიმართა¹⁵ საქართველოს ეროვნულ ბანკს და შემდეგ საკითხებზე გამოხმაურება ითხოვა:

1. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, 1992 წლიდან 2010 წლის შუალედში, საქართველოში მოქმედი რომელი კომერციული ბანკები გაწევრიანდნენ საერთაშორისო გადარიცხვების სისტემაში (SWIFT). აღნიშნული ბანკების დასახელება და მათი ზემოაღნიშნულ სისტემაში გაწევრიანების წელი.
2. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, 1992 წლიდან 2000 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელი კომერციული ბანკები საქმიანობდა საქართველოში. აღნიშნული ბანკების დაფუძნების პერიოდიკა/წლების მიხედვით.
3. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რომელ წელს მიანიჭა ს.ს. „ინტელექტბანკს“ CAMEL-ის (Capital, Asset quality, Management, Earnings, asset Liberty management) მე-3 რეიტინგი? ინარჩუნებდა თუ არა ბანკი რეიტინგს და რა ფაქტორებით იყო განპირობებული აღნიშნული რეიტინგის მდგრადობა თუ ცვალებადობა?
4. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა როდის მოახდინა ს.ს. „ინტელექტბანკის“ სარევიზიო შემოწმება, რა გახდა რევიზიის მიზეზი. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ბანკში განხორციელებული რევიზიის დაწყების, დასრულების შესახებ იურიდიული დოკუმენტაცია, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში - შესაბამისი დასკვნა.
5. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ს.ს. „ინტელექტბანკის“ რევიზიის შედეგად, მომზადდა თუ არა რაიმე ფორმის რეკომენდაციები. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ასეთი შესაძლო რეკომენდაციები?
6. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ს.ს. „ინტელექტბანკის“ რევიზიის შედეგად შესაძლო რეკომენდაციების შემთხვევაში, უზრუნველყო თუ არა ბანკმა მისი შესრულება, ნაწილობრივ შესრულება ან პირიქით. სებ-ის სავარაუდო დასკვნა ან შეფასება ს.ს. „ინტელექტბანკის“ მიერ შესრულებული შესაძლო რეკომენდაციების შესახებ. გთხოვთ, მოგვაწოდოთ სრული ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით.
7. გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 26 დეკემბრის #1472/06 წერილის ასლი ს.ს. „ინტელექტბანკის“ მიმართ, რომლის საფუძველზეც, აღნიშნულ ბანკს აეკრძალა დეპოზიტების მიღება, ახალი კრედიტების გაცემა და სხვა საწარმოების კაპიტალში ინვესტიციების განხორციელება. გთხოვთ, განმარტოთ სებ-ის მიერ ს.ს. „ინტელექტბანკის“ მიმართ ზემოაღნიშნული აკრძალვების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები და მიზანშეწონილობა?
8. გთხოვთ მოგვაწოდოთ სებ-ის 2006 წლის 2 თებერვლის #106/06 წერილის ასლი ს.ს. „ინტელექტბანკის“ მიმართ;
9. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ს.ს. „ინტელექტბანკში“ შესული სებ-ის დროებითი ადმინისტრაციის 2006 წლის 22 თებერვლის დოკუმენტის ასლი, ბანკის პორტფელზე არსებული რეზერვების მდგომარეობის შესახებ;

¹⁵ ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 13 ივნისის #298 წერილი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიმართ

10. გთხოვთ მოგვაწოდოთ სებ-ის მიმართ ს.ს. „ინტელექტბანკის“ 2006 წლის წერილის ასლი;
11. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, 2000-იან წლებში, რა კონტაქტები ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნულმა ბანკსა და უკრაინულ ს.ს. „უკრგაზბანკს“ შორის? რომელი პერიოდიდან? ამასთან, მოგვაწოდეთ ინფორმაცია, 2006 წლის 8 თებერვალს, ს.ს. „უკრგაზბანკმა“ სებ-ში, ს.ს. „ინტელექტბანკის“ საკორესპონდენტო ანგარიშზე, „ბეს“ სახით, უზრუნველყო თუ არა 2 000 000 აშშ დოლარის დარიცხვა?
12. ინფორმაცია, რა მონაწილეობას ღებულობდა 2005-2006 წლებში სებ უკრაინულ ს.ს. „უკრგაზბანკსა“ და ქართულ ს.ს. „ინტელექტბანკს“ შორის არსებულ მოლაპარაკებებში, ს.ს. „უკრგაზბანკის“ მიერ ს.ს. „ინტელექტბანკის“ შესაძლო ყიდვასთან დაკავშირებით?
13. ინფორმაცია, საქართველოს ეროვნული ბანკის იურიდიული დოკუმენტი ს.ს. „ინტელექტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის შესვლის შესახებ;
14. ინფორმაცია, ს.ს. „ინტელექტბანკში“ შესული სებ-ის დროებითი ადმინისტრაციის რომელი გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა იმჟამად ბანკის თანამშრომლების ბანკის შენობაშივე დაყოვნება 2 დღე-ღამის განმავლობაში, 2006 წლის 10 თებერვლის 18:00 საათიდან 12 თებერვლის 18:00 საათამდე?
15. ინფორმაცია, 2006 წლის 11 თებერვალს, სებ-ის დროებითი ადმინისტრაციის რომელი გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა ს.ს. „ინტელექტბანკში“ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ თანამშრომლების შესვლა, მათი მხრიდან ბანკის მეანაბრების დაბარება და ს.ს. „ინტელექტბანკში“ არსებული მათი საბანკო ანგარიშებიდან ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ახლადგახსნილ ანგარიშებზე ფულადი სახსრების გადატანა?
16. ინფორმაცია, ს.ს. „ინტელექტბანკის“ აუქციონის წესით გასხვისების შესახებ. კერძოდ, აუქციონის პირობები, ინფორმაცია მყიდველთა შესახებ.
17. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, 2006 წელს, რა გახდა სებ-ის მიერ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიმართ სესხის სახით გაცემული 20 მლნ ლარი და აღნიშნული ბანკის ნორმატივების შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების საფუძველები? გთხოვთ, მოგვაწოდოთ სებ-ის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2015 წლის 16 ივლისის #2-14/2382-15 წერილის თანახმად,¹⁶ ბანკმა მოთხოვნილ ინფორმაციაზე გამოხმაურებისთვის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ითხოვა 10-დღიანი ვადა.

ორგანიზაციამ 2015 წლის 13 ივლისს, წერილით მიმართა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეს და ს.ს. „ინტელექტბანკის“ გაკოტრებასთან დაკავშირებით, პირადი პოზიციით დაინტერესდა.¹⁷ ორგანიზაციამ სებ-ის პრეზიდენტის მიმართ გაგზავნილ წერილში აღნიშნა, რომ საქმეზე არსებობდა საჯარო ინტერესი, ხოლო რადგანაც გიორგი ქადაგიძე 2006 წელს ხელმძღვანელობდა ბანკში დროებითი ადმინისტრაციის შესვლას, ბანკის აქციონერების მხრიდან მოცემულ ეტაპზე არსებობდა მის მიმართ ბანკის გაკოტრების ბრალდება, სებ-ის პრეზიდენტს უნდა ეპასუხა საკითხთან დაკავშირებულ სადაო გარემოებებისთვის. ორგანიზაციის მიერ სებ-ის პრეზიდენტის მიმართ დასმული იქნა შემდეგი კითხვები:

¹⁶ საქართველოს ეროვნული ბანკის 2015 წლის 16 ივლისის #2-14/2382-15 წერილი

¹⁷ ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 13 ივნისის #297 წერილი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიმართ

1. როგორ ფიქრობთ, არსებობდა თუ არა საჭიროება ს.ს. „ინტელექტბანკში“ სეზ-ის დროებითი ადმინისტრაციის შესვლასთან დაკავშირებით. რას ეფუძნება თქვენი პოზიცია?
2. რამ გამოიწვია, ს.ს. „ინტელექტბანკში“ სეზ-ის დროებითი ადმინისტრაციის შესვლასთან ერთად, მაშინდელი სპეციალური ოპერატიული დანიშნულების სამსახურისა (სოდ) და პროკურატურის წარმომადგენლების თანხლება და შესვლა?
3. რამ გამოიწვია ს.ს. „ინტელექტბანკის“ თანამშრომლების ბანკის შენობაშივე დაყოვნება 2 დღე-ღამის განმავლობაში, 2006 წლის 10 თებერვლის 18:00 საათიდან 12 თებერვლის 18:00 საათამდე? ეს იყო თქვენი გადაწყვეტილება თუ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელთა ბრძანება?
4. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, რა შეხვედრა შედგა 2006 წლის 12 იანვარს ს.ს. „ინტელექტბანკის“ ხელმძღვანელებს (გოგი სალია, კახა ამაღლობელი, გიორგი გაბიძაშვილი) და თქვენს შორის, რომელსაც ასევე ესწრებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის მაშინდელი პრეზიდენტი, ბატონი რომან გოცირიძე? შეხვედრა იყო ოფიციალური თუ პირადი ხასიათის?
5. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, ს.ს. „ინტელექტბანკში“ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ თანამშრომლების შესვლა, მათი მხრიდან ბანკის მეანაზრეების დაბარება და ს.ს. „ინტელექტბანკში“ არსებული მათი საბანკო ანგარიშებიდან ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ახლადგახსნილ ანგარიშებზე ფულადი სახსრების გადატანა, რამდენად მართლზომიერი ქმედება გახლდათ?
6. რა წინაპირობების გამო და რა ვითრებაში ჩატარდა აუქციონი, რომლის შედეგადაც ს.ს. „ინტელექტბანკი“ სიმბოლურ ფასად - 1 ლარად შეიძინა ს.ს. „საქართველოს ბანკმა“?
7. როგორ ფიქრობთ, ჰქონდა თუ არა ს.ს. „ინტელექტბანკს“ დამოუკიდებლად განვითარების შესაძლებლობა, ან რა შემთხვევაში შეძლებდა აღნიშნული ბანკი სეზ-ის ჩარევის გარეშე სრულფასოვანი საქმიანობის განხორციელებას?
8. როგორ ფიქრობთ, რამდენად კონკურენტულ გარემოში მოხდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ გასხვისება და დაირღვა თუ არა საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპები?
9. თქვენი შეფასება, 2006 წელს, რა გახდა სეზ-ის მიერ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიმართ სესხის სახით გაცემული 20 მლნ ლარი და აღნიშნული ბანკის ნორმატივების შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების საფუძვლები?
10. როგორ ფიქრობთ, 2012 წლის 1 ოქტომბრის პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ, სამართლიანობის აღდგენის პროცესში, რამდენად სამართლიანია ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერების მოთხოვნები ბანკის მიზანმიმართული გაკოტრების შესახებ?
11. იღებთ თუ არა თანამდებობრივ და სამართლებრივ პასუხისმგებლობას, როგორც სეზ-ის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ს.ს. „ინტელექტბანკის“ მიმართ განხორციელებული მოქმედებების გამო?
12. როგორ ფიქრობთ, ს.ს. „ინტელექტბანკის“ საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურა იხელმძღვანელებს „შერჩევითი სამართლის“ პრინციპით და საქმეზე გადაწყვეტილება იქნება თქვენი განსხვავებული პოლიტიკური და სამოქალაქო პოზიციების სადამსჯელო? ხედავთ თუ არა აღნიშნულ საქმეში სამართლიანობის აღდგენის ნიშნებს?

2015 წლის 27 ივლისს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ორგანიზაციის მიერ #297 და #298 წერილებით დასმული საკითხების მიმართ, ერთიანი პასუხი მოამზადა.¹⁸ სებ-მა, ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციიდან, მხოლოდ 1992 წლიდან 2000 წლის 31 დეკემბრამდე მდგომარეობით, მათი დაფუძნების/პერიოდიკის მიხედვით, საქართველოში მოქმედი მხოლოდ კომერციული ბანკების სიისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2006 წლის 10 თებერვლის #68 განკარგულების მოწოდება უზრუნველყო. ყველა სხვა საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკის წერილში, შემდეგი სახის განმარტებები გაკეთდა:

1. „ინტელექტბანკისათვის“ camel-ის რეიტინგის მინიჭების საკითხი და აღნიშნული რეიტინგის მინიჭების საფუძვლების შესახებ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას;
2. მონაცემები ს.ს „ინტელექტბანკის“ რევიზიის შესახებ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას;
3. მონაცემები ს.ს „ინტელექტბანკის“ რევიზიის შედეგად მიცემული რეკომენდაციების შესახებ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას;
4. ინფორმაცია ს.ს „ინტელექტბანკის“ რევიზიის შედეგად ბანკის მიერ მისთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას;
5. საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 26 დეკემბრის N1472/06 წერილი საზედამხედველო ღონისძიებების გატარების შესახებ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას;
6. საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 2 თებერვლის N106/06 წერილი წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას;
7. ს.ს „ინტელექტბანკის“ პორტფელზე ჩატარებული რევიზიის შესახებ დოკუმენტაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას;
8. ს.ს „ინტელექტბანკის“ 2006 წლის წერილი წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას;
9. მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოწოდება ვერ განხორციელდება, რადგან იგი შეიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას ს.ს „უკრგაზბანკის“ ფინანსების შესახებ;
10. მე-12 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მოწოდება ვერ განხორციელდება, რადგან იგი შეიცავს ინფორმაციას ს.ს „უკრგაზბანკის“ ფინანსების შესახებ;
11. წერილის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მოწოდება ვერ განხორციელდება, რადგან იგი შეიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას ს.ს „საქართველოს ბანკის“ ფინანსების შესახებ;
12. წერილის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მოწოდება ვერ განხორციელდება, რადგან იგი მოიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას ს.ს „საქართველოს ბანკის“ ფინანსების შესახებ;
13. წერილის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მოწოდება ვერ განხორციელდება, რადგან იგი შეიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას ს.ს „საქართველოს ბანკის“ ფინანსების შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბანკის წერილში აღნიშნულია, რომ სებ არ ფლობს ინფორმაციას, ს.ს „ინტელექტბანკში“ შესული სებ-ის დროებითი ადმინისტრაციის, თუ რომელი გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა იმჟამად ბანკის თანამშრომლების ბანკის შენობაშივე დაყოვნება 2 დღე-ღამის განმავლობაში, 2006 წლის 10 თებერვლის 18:00 საათიდან 12 თებერვლის 18:00 საათამდე. ამასთან, წერილში აღინიშნა, რომ „მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით ვერ განხორციელდება გიორგი ქადაგიძის პირადი პოზიციის დაფიქსირება, რადგან ს.ს „ინტელექტბანკის“ დროებით ადმინისტრაციის დროს იგი მოქმედებდა, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენელი და საჯარო მოსამსახურე“.

¹⁸ საქართველოს ეროვნული ბანკის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, ნათია გვაზავას 2015 წლის 27 ივლისის წერილი #2-14/2622-15

სებ-ის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძის პოზიცია ს.ს. „ინტელექტბანკის“ გაკოტრების საქმესთან დაკავშირებით, საზოგადოებისთვის რამდენიმე გაზეთში მიცემული ინტერვიუს დროს ცნობილია. 2015 წლის აპრილში გამოქვეყნებულ ინტერვიუში, გიორგი ქადაგიძე მის მიმართ წარდგენილ ბრალდებებს შემდეგნაირად პასუხობს: „შემიძლია დაგიზუსტოთ, რომ „ინტელექტბანკში“ არანაირი სპეცოპერაცია არ ჩატარებულა. მე ვიყავი დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და იქიდან გამომდინარე, რომ რთული ვითარება იყო, სწრაფი გადაწყვეტილებები უნდა მიგვეღო. ხაზგასმით აღვნიშნავ, ყველა შემთხვევაში, არსებული უმნიშვნელო დეტალიც კი, ფინანსურ სექტორში არსებულმა ყველა მოთამაშემ იცის. თითქმის ყველა კომერციული ბანკი იყო ამ პროცესში ჩართული, ყველას გაეგზავნა შეთავაზება. პროცესი აბსოლუტურად გამჭვირვალედ მიმდინარეობდა. სამწუხაროა, ესა თუ ის საქმე გარკვეულ პოლიტიკურ კოტექსტში, რომ ამოტივტივდება ხოლმე, რაც უსიამოვნოა. ზოგადად, აქციონერების ჩივილი, გაკოტრებულ ბანკთან დაკავშირებით, არაბალია, თუმცა კითხვა, რა უფრო პრიორიტეტულია ეროვნული ბანკისთვის - მეანაზრებების ინტერესების დაცვა თუ იმ აქციონერებისა, რომლებიც უპასუხისმგებლოდ მოექცნენ საკუთარ კლიენტებს, რა თქმა უნდა, არასწორია. ჩვენი უპირველესი ამოცანა სწორედ მეანაზრებების დაცვაა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ვიზრუნოთ აქციონერების ინტერესებზე. არ დავუშვათ ის შეცდომები გავიმეოროთ, რომლებიც 90-იანი წლებიდან გვახსოვს. ეს შეცდომა კი არა, დანაშაული იქნება, რაც ჩვენს ქვეყანას უკან დახევს“.¹⁹

2015 წლის 21 აგვისტოს, ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერებმა (დავით კველიშვილი, შალვა წაქაძე, ნუგზარ ჯაყელი-ხუნდაძე, ვლადიმერ ჭანიშვილი) განცხადებით მიმართეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეს. იქედან გამომდინარე, რომ სებ-მა. კონფიდენციალური ინფორმაციის მიზეზით, ორგანიზაციას უარი უთხრა ს.ს. „ინტელექტბანკის“ სავალუტო საკორესპოდენტო ანგარიშის ამონაწერის მოწოდებაზე, 2006 წლის 1 იანვრიდან 12 თებერვლის ჩათვლით, ბანკის სავალუტო საკორესპოდენტო ანგარიშის ამონაწერის მიღება, უშუალოდ ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერებმა მოითხოვეს.²⁰

2015 წლის 3 სექტემბრის საქართველოს ეროვნული ბანკის #2-14/2936-15 წერილის თანახმად, ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერების მიმართ მოთხოვნილი ინფორმაცია არ გაიცა. წერილში ვკითხულობთ, რომ „აღნიშნული ამონაწერი მოიცავს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ს.ს. „ინტელექტბანკის“ მიერ განხორციელებული გარიგებების შესახებ ინფორმაციას, რომელშიც მითითებულია სხვა კომერციული ბანკების საბანკო ანგარიშებისა და ოპერაციების შესახებ მონაცემი, ხოლო „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 20.3 მუხლის შესაბამისად, „ცნობები ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშების ან/და ოპერაციების, მესამე პირების შესახებ შეიძლება გაიცეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე“. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვის გამო, სამწუხაროდ, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას დავაკმაყოფილოთ თხოვნა, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების წარმოდგენის გარეშე“.²¹

ორგანიზაციამ 2015 წლის 3 ივნისს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს 2005-2007 წლებში, 2015 წლის სექტემბრის თვის მდგომარეობით, ა/ო „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ პრეზიდენტ რომან გოცირიძეს და საქმეზე მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, პირადი პოზიციით და განმარტებებით დაინტერესდა.²² ორგანიზაციის მიერ რომან გოცირიძის მიმართ დასმული იქნა შემდეგი სახის კითხვები:

¹⁹ გაზეთი „ვერსია“, 8-9 აპრილი, 2015, #39, ჟურნალისტ მაია მიშელაძის ინტერვიუ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძესთან.

²⁰ 2015 წლის 21 აგვისტოს ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერების განცხადება სებ-ის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძის მიმართ.

²¹ 2015 წლის 3 სექტემბრის საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ ოთარ ნადარიას წერილი #2-14/2936-15 ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერების მიმართ.

²² ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 13 ივნისის #300 წერილი 2005-2007 წლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, რომან გოცირიძის მიმართ

1. როგორ ფიქრობთ, არსებობდა თუ არა საჭიროება ს.ს. „ინტელექტბანკში“ სეზ-ის დროებითი ადმინისტრაციის შესვლასთან დაკავშირებით. რას ეფუძნება თქვენი პოზიცია?
2. რამ გამოიწვია, ს.ს. „ინტელექტბანკში“ სეზ-ის დროებითი ადმინისტრაციის შესვლასთან ერთად, მაშინდელი სპეციალური ოპერატიული დანიშნულების სამსახურისა (სოდ) და პროკურატურის წარმომადგენლების თანხლება და შესვლა? თუ ეს გამართლებული ნაბიჯი არ გახლდათ, რა მოიმოქმედა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კანონსაწინააღმდეგო ქმედების თავიდან აცილებისთვის?
3. გთხოვთ, განმარტოთ, ს.ს. „ინტელექტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ 2006 წლის 10 თებერვლის #68 განკარგულება გამოცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ ე. გალდავას ხელმოწერით. კანონით, რა შემთხვევაში გააჩნდა სეზ-ის ვიცე-პრეზიდენტს ბანკში დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ განკარგულება გამოეცა და რატომ არ არის ს.ს. „ინტელექტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის შესვლის თაობაზე განკარგულება თქვენი ხელმოწერით გამოცემული?
4. ფლობდით თუ არა ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ რამ გამოიწვია ს.ს. „ინტელექტბანკის“ თანამშრომლების ბანკის შენობაშივე დაყოვნება 2 დღე-ღამის განმავლობაში, 2006 წლის 10 თებერვლის 18:00 საათიდან 12 თებერვლის 18:00 საათამდე? ეს იყო თქვენი გადაწყვეტილება თუ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელთა ბრძანება? თუ ეს გამართლებული ნაბიჯი არ გახლდათ, რა მოიმოქმედა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კანონსაწინააღმდეგო ქმედების თავიდან აცილებისთვის?
5. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, რა შეხვედრა შედგა 2006 წლის 12 იანვარს ს.ს. „ინტელექტბანკის“ ხელმძღვანელებს (გოგი სალია, კახა ამალაშვილი, გიორგი გაბიძაშვილი) და თქვენს შორის, რომელსაც ასევე ესწრებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის მაშინდელი ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, ბატონი გიორგი ქადაგიძე? შეხვედრა იყო ოფიციალური თუ პირადი ხასიათის?
6. მოგავწოდეთ ინფორმაცია, ს.ს. „ინტელექტბანკში“ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ თანამშრომლების შესვლა, მათი მხრიდან ბანკის მეანაბრეების დაბარება და ს.ს. „ინტელექტბანკში“ არსებული მათი საბანკო ანგარიშებიდან ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ახლადგახსნილ ანგარიშებზე ფულადი სახსრების გადატანა?
7. როგორ ფიქრობთ, ჰქონდა თუ არა ს.ს. „ინტელექტბანკს“ დამოუკიდებლად განვითარების შესაძლებლობა, ან რა შემთხვევაში შეძლებდა აღნიშნული ბანკი სეზ-ის ჩარევის გარეშე სრულფასოვანი საქმიანობის განხორციელებას?
8. როგორ ფიქრობთ, რამდენად კონკურენტულ გარემოში მოხდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ გასხვისება და დაირღვა თუ არა საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპები?
9. განმარტეთ, რა მონაწილეობას ღებულობდა 2005-2006 წლებში სეზ უკრაინულ ს.ს. „უკრაინბანკსა“ და ქართულ ს.ს. „ინტელექტბანკს“ შორის არსებულ მოლაპარაკებებში, ს.ს. „უკრაინბანკის“ მიერ ს.ს. „ინტელექტბანკის“ შესაძლო ყიდვასთან დაკავშირებით?
10. თქვენი შეფასება, 2006 წელს, რა გახდა სეზ-ის მიერ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიმართ სესხის სახით გაცემული 2 000 000 ლარი და აღნიშნული ბანკის ნორმატივების შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების საფუძვლები?

11. როგორ ფიქრობთ, 2012 წლის 1 ოქტომბრის პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ, სამართლიანობის აღდგენის პროცესში, რამდენად სამართლიანია ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერების მოთხოვნები ბანკის მიზანმიმართული გაკოტრების შესახებ?
12. იღებთ თუ არა თანამდებობრივ და სამართლებრივ პასუხისმგებლობას, როგორც სეზ-ის პრეზიდენტი, ს.ს. „ინტელექტბანკის“ მიმართ განხორციელებული მოქმედებების გამო?
13. როგორ ფიქრობთ, ს.ს. „ინტელექტბანკის“ საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურა იხელმძღვანელებს „შერჩევითი სამართლის“ პრინციპით და საქმეზე გადაწყვეტილება იქნება თქვენი განსხვავებული პოლიტიკური და სამოქალაქო პოზიციების სადამსჯელო? ხედავთ თუ არა აღნიშნულ საქმეში სამართლიანობის აღდგენის ნიშნებს?

ორგანიზაციას 2016 წლის იანვრის თვის მდგომარეობით, რომან გოცირიძის მიმართ დასმულ კითხვებზე, გამოხმაურება არ მიუღია.

ორგანიზაციამ 2015 წლის 13 ივნისს წერილით მიმართა²³ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ გენერალურ დირექტორ ირაკლი გილაურს და საქმესთან დაკავშირებით, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მონაწილეობით დაინტერესდა. ს.ს. „ინტელექტბანკის“ გასხვისების დროს, ირაკლი გილაური ს.ს. „საქართველოს ბანკის“ დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. ორგანიზაციის მიერ ირაკლი გილაურის მიმართ დასმული იქნა შემდეგი სახის კითხვები:

1. გთხოვთ, განმარტოთ, რა პერიოდიდან არსებობდა ს.ს. „საქართველოს ბანკის“ და ს.ს. „ინტელექტბანკის“ შორის მოლაპარაკებები ს.ს. „ინტელექტბანკის“ შეძენასთან დაკავშირებით, რატომ ვერ მოხერხდა ბანკის შეძენა ს.ს. „ინტელექტბანკში“ სეზ-ის დროებითი ადმინისტრაციის შესვლამდე?
2. როდის მოხდა ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მხრიდან ს.ს. „ინტელექტბანკის“ შეძენა. გთხოვთ, განმარტოთ, რა ფინანსური შესაძლებლობის მქონე ბანკი აღმოჩნდა ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მფლობელობაში?
3. გთხოვთ, განმარტოთ, რატომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, 2006 წლის 11 თებერვალს, ს.ს. „ინტელექტბანკში“ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ თანამშრომლების შესვლასთან დაკავშირებით, რა დროსაც თქვენი ბანკის წარმომადგენლებმა დაიკავეს ს.ს. „ინტელექტბანკის“ თანამშრომელთა სამუშაო ადგილები, დაიწყეს ბანკში ყველა სახის უფლებამოსილების განხორციელება, დაიქვემდებარეს ბანკის მოქმედი თანამშრომლები და გასცეს ცალკეული დავალებები სხვადასხვა ფუნქციების შესასრულებლად?
4. გთხოვთ, განმარტოთ, რომელი კანონის და რომელი გადაწყვეტილების საფუძველზე ჰქონდა უფლება ს.ს. „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენლებს ს.ს. „ინტელექტბანკში“ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით?
5. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ თანამშრომლებმა ს.ს. „ინტელექტბანკის“ რამდენი მეანაბრის საბანკო ანგარიშის გადატანა უზრუნველყო ს.ს. „საქართველოს ბანკში“?
6. განმარტეთ, თუკი ს.ს. „ინტელექტბანკში“ სეზ-ის დროებითი ადმინისტრაციის შესვლიდან მეორე დღეს, 2006 წლის 11 თებერვალს, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენლების შესვლა

²³ ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 13 ივნისის #301 წერილი ს.ს. „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის, ირაკლი გილაურის მიმართ.

წარმოადგენდა კანონდარღვევას, რა ზომები იქნა თქვენი ბანკის მხრიდან მიღებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით?

7. როგორ ფიქრობთ, რამდენად კონკურენტულ გარემოში მოხდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ გასხვისება და დაირღვა თუ არა საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპები?
8. თქვენი შეფასება, 2006 წელს, რა გახდა სეზ-ის მიერ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიმართ სესხის სახით გაცემული 20 მლნ ლარი და აღნიშნული ბანკის ნორმატივების შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების საფუძვლები?
9. ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიერ 2005 წლის 21 თებერვალს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, „თუ სასამართლო საბოლოოდ ბათილად სცნობს ბრძანება #68-ს „ინტელექტბანკის“ აქტივებისა და პასივების გასხვისების თაობაზე სეზ-სა და „ბანკს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება ბათილად იქნება ცნობილი, „საქართველოს ბანკი“ ვალდებული იქნება „ინტელექტბანკს“ დაუბრუნოს ყველა მიღებული აქტივი და პასივი, მათ შორის აუნაზღაუროს მიყენებული ზარალიც. ასანაზღაურებელი ზარალი გაანგარიშდება „საქართველოს ბანკის“ მიერ სეზ-თან ხელშეკრულების გაფორმების დღის შემდეგ მიღებული მოგების სახით. ამ შემთხვევაში, „საქართველოს ბანკს“ ექნება უფლება ამ ზარალის ამავე ოდენობით ანაზღაურება მოითხოვოს სეზ-ისგან“. როგორია ს.ს. „საქართველოს ბანკის“ დღევანდელი პოზიცია საკითხთან დაკავშირებით, თუკი ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერებმა საქმეზე სამართლიანობის აღდგენა შეძლეს?

ს.ს. „საქართველოს ბანკის“ 2015 წლის 5 აგვისტოს #01/1814 წერილში ნათქვამია, რომ „თქვენი განცხადების პასუხად, სადაც ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიერ ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ რიგ საკითხებზე განმარტებებს, გაცნობებთ, რომ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, რის გამოც, გამოძიების დასრულებამდე თავს შევიკავებთ რაიმე სახის განმარტების/კომენტარის გაკეთებისგან“.²⁴

ორგანიზაციამ 2015 წლის 13 ივნისს, წერილით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას²⁵ და ს.ს. „ინტელექტბანკის“ გაკოტრების საქმესთან დაკავშირებით, შემდეგ საკითხებთან მიმართებით, გამოხმაურების მომზადება მოითხოვა:

1. საქართველოს პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი, 2015 წლის 13 ივნისის მდგომარეობით, ქონებაჩამორთმეულთა რამდენ საჩივარს განიხილავს, რამდენი მათგანის მიმართ დაასრულა საგამოძიებო მოქმედებები და დაზარალებულად იქნა ცნობილი მოქალაქეები?
2. როდის მიიღოს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერთა საჩივარი ბანკის გაკოტრების სავარაუდო დანაშაულთან დაკავშირებით, 2015 წლის 13 ივნისის მდგომარეობით, განიხილავს თუ არა საჩივარს პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი და რა ეტაპზეა ამჟამად საქმისწარმოება?
3. საქართველოს მთავარ პროკურატურაში, 2006 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, იყო თუ არა რაიმე სახის განცხადება/საჩივარი შემოსული ს.ს. „ინტელექტბანკის“ გაკოტრების

²⁴ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილის, ავთანდილ ნამიჩიშვილის 2015 წლის 5 აგვისტოს #01/18014 წერილი.

²⁵ ა/ო „აბალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 13 ივნისის #302 წერილი საქართველოს მთავარი პროკურორ გიორგი ბადაშვილის მიმართ.

საქმეზე საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შესახებ? დაიწყო თუ არა გამოძიება ან/და რა საფუძვლებით შეწყდა?

4. 2006 წლის 10 თებერვალს, ს.ს. „ინტელექტბანკში“ საქართველოს ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაციის შესვლასთან ერთად, ბანკში შევიდა საქართველოს პროკურატურის თანამშრომლები. მასალებით დასტურდება, რომ ს.ს. „ინტელექტბანკის“ თანამშრომლები ორი დღე-ღამის განმავლობაში ჩაკეტილი აღმოჩნდა ბანკის შენობაში და მათ აიძულებდნენ სხვადასხვა საოპერაციო უფლებამოსილების შესრულებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, აქვს თუ არა საქართველოს პროკურატურის დღევანდელ ხელმძღვანელობას ინფორმაცია და რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე მოქმედებდა ს.ს. „ინტელექტბანკში“ საქართველოს პროკურატურა?

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 5 აგვისტოს #13/49731 წერილის თანახმად, „პროკურატურამ განიხილა 2015 წლის 13 ივლისის #302 განცხადება, რომლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით გაცოხებით, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში, ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის 119 საქმეზე. საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შედეგად, სხვადასხვა სამართლის საქმეზე, ცნობილი იქნა დაზარალებულად ათი პირი და მათ დაუბრუნდათ უკანონოდ ჩამორთმეული ქონებები. რაც შეეხება, განცხადებით მოთხოვნილ სხვა ინფორმაციას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან. შესაბამისად მოკლებულნი ვარ შესაძლებლობას დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა“.²⁶

ორგანიზაციამ 2015 წლის 13 ივლისს, წერილით მიმართა²⁷ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ს.ს. „ინტელექტბანკის“ გაკოტრების საქმესთან დაკავშირებით, შემდეგ საკითხებთან მიმართებით, გამოხმაურების მომზადება მოითხოვა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, 2006 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, იყო თუ არა რაიმე სახის განცხადება/საჩივარი შემოსული ს.ს. „ინტელექტბანკის“ გაკოტრების საქმეზე საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შესახებ? დაიწყო თუ არა გამოძიება ან/და რა საფუძვლებით შეწყდა?
2. 2006 წლის 10 თებერვალს, ს.ს. „ინტელექტბანკში“ საქართველოს ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაციის შესვლასთან ერთად, ბანკში შევიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდი) თანამშრომლები. მასალებით დასტურდება, რომ ს.ს. „ინტელექტბანკის“ თანამშრომლები ორი დღე-ღამის განმავლობაში ჩაკეტილი აღმოჩნდა ბანკის შენობაში და მათ აიძულებდნენ სხვადასხვა საოპერაციო უფლებამოსილების შესრულებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, აქვს თუ არა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დღევანდელ ხელმძღვანელობას ინფორმაცია და რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე მოქმედებდა ს.ს. „ინტელექტბანკში“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო?

2015 წლის 1 დეკემბრის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის MIA 6 15 02671874 წერილის თანახმად, ორგანიზაციას ეცნობა, რომ „ს.ს.

²⁶ საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, ირაკლი ჩილინგარაშვილის 2015 წლის 5 აგვისტოს #13/49731 წერილი.

²⁷ ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 13 ივნისის #303 წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის მიმართ.

„ინტელექტბანკის“ გაკოტრებასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროში სისხლის სასამართლოს საქმის გამოძიება არ მიმდინარეობს და აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, რაიმე განცხადება/საჩივარის მიღების და წარმოების ფაქტი არ ფიქსირდება. ასევე გაცნობებთ, რომ 2006 წლის 10 თებერვალს, ს.ს. „ინტელექტბანკში“, საქართველოს ეროვნული ბანკის დროებით ადმინისტრაციის შესვლასთან ერთად, ბანკში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების შესწვლასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს ინფორმაცია არ გააჩია“.²⁸

ორგანიზაციამ 2015 წლის 17 ივლისს, წერილით²⁹ მიმართა ს.ს. „უკრაინული ბანკის“ ხელმძღვანელობას და ს.ს. „ინტელექტბანკის“ შეძენასთან დაკავშირებით, 2006 წელს დაწყებული მოლაპარაკებების თაობაზე გამოხმაურების მომზადება ითხოვა. ორგანიზაციის წერილში აღინიშნა, რომ ორგანიზაციის იურისტები გაეცნო ს.ს. „ინტელექტბანკის“ საქმის მასალებს, სადაც ფიქსირდება ს.ს. „ინტელექტბანკისა“ და ს.ს. „უკრაინული ბანკის“ შორის საქმიანი კონტაქტები 2005-2006 წლებში. შესწავლილი მასალების მიხედვით ჩანს, რომ „უკრაინული ბანკი“ დაინტერესებული იყო, განეხორციელებინა „ინტელექტბანკის“ შეძენა, თუმცა „ინტელექტბანკში“ საქართველოს ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაციის შესვლის შემდგომ, ქართულ-უკრაინული მოლაპარაკებები, აღარ გაგრძელდებოდა. ორგანიზაციამ ს.ს. „უკრაინული ბანკის“ საქმეზე საქართველოში მაღალი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, შემდეგი საკითხების მიმართ, გამოხმაურება სთხოვა:

1. გვაცნობეთ, რა ფორმით მიმდინარეობდა ქართულ „ინტელექტბანკსა“ და უკრაინულ „უკრაინული ბანკის“ შორის მოლაპარაკებები, რამდენად მყარი იყო უკრაინული ბანკის მხრიდან ქართული ბანკის შეძენის სურვილი?
2. 2006 წლის 8 თებერვალს, ს.ს. „უკრაინული ბანკი“ ბეს-ს სახით, საქართველოს ეროვნულ ბანკში, „ინტელექტბანკის“ საკორესპონდენტო ანგარიშზე ჩარიცხა 2 000 000 აშშ დოლარი. გვაცნობეთ, აღნიშნული ტრანზაქცია იყო თუ არა „ინტელექტბანკის“ შეძენისთვის გადადგმული პირველი ნაბიჯი და ქართული ბანკის აქციონერებთან შეთანხმებით, დაიგეგმა თუ არა შემდგომი ინვესტირების განხორციელება?
3. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, რა მოლაპარაკებები არსებობდა საქართველოს ეროვნულ ბანკსა და „უკრაინული ბანკის“ შორის ქართული „ინტელექტბანკის“ შეძენასთან დაკავშირებით?
4. გვაცნობებთ, თუკი საქართველოს ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაცია „ინტელექტბანკში“ ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით შევიდა, როგორ აფასებდა „უკრაინული ბანკი“ ქართული ბანკის სტაბილურობას და პერსპექტივებს?
5. გვაცნობეთ, მოხდა თუ არა „ინტელექტბანკის“ გასხვისების შემდგომ საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან „უკრაინული ბანკის“ ინფორმირება, თუ რატომ არ მიეცა უკრაინულ ბანკს ქართული ბანკის შეძენის შესაძლებლობა?
6. გვაცნობეთ, „ინტელექტბანკის“ შეძენის საქმესთან დაკავშირებით, გქონდათ თუ არა ოფიციალური დონის შეხვედრები საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობასთან და თქვენი პოზიცია, რა მიზეზების გამო ვერ მოხდა ბანკის შეძენა?
7. თქვენი შეხედულებით, რამდენად ობიექტურად მოხდა „ინტელექტბანკის“ გასხვისება ასევე ქართული ბანკის - „საქართველოს ბანკის“ მიმართ?

²⁸ 2015 წლის 1 დეკემბრის საქართველოს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე უ. ლომიძის MIA 6 15 02671874 წერილი.

²⁹ ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის 17 ივნისის #307 წერილი ს.ს. „უკრაინული ბანკის“ დირექტორატის თავმჯდომარე კირილ შევჩენკოს მიმართ.

2015 წლის 7 აგვისტოს, ორგანიზაციამ ს.ს. „უკრაინული ბანკის“ დირექტორატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მხრიდან გამოხმაურება მიიღო. როგორც უკრაინული ბანკის წერილში აღნიშნა ს.ს. „უკრაინული ბანკი“ 2006 წელს, მართლაც თანამშრომლობდა ს.ს. „ინტელექტბანკთან“ მაგრამ სხვა ინფორმაციას ს.ს. „უკრაინული ბანკი“ ვერ იძლევა უკრაინული კანონმდებლობიდან გამომდინარე. როგორც წერილში აღნიშნავენ: „გაცნობებით, რომ „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ უკრაინის კანონის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ინფორმაცია კლიენტის საქმიანობის და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელიც ბანკისთვის ცნობილი გახდა კლიენტის მომსახურების პროცესში და მასთან ან მესამე პირებთან ურთიერთობის დროს, წარმოადგენს საბანკო საიდუმლოს. ამასთან, „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ უკრაინის კანონის მე-60 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საბანკო საიდუმლოდ ასევე ითვლება: ინფორმაცია კლიენტის საბანკო ანგარიშების შესახებ, ოპერაციები, რომლებიც იყო განხორციელებული კლიენტის სასარგებლოდ ან მისი დავალებით, მის მიერ განხორციელებული გარიგებები, ინფორმაცია კლიენტის კომერციული საქმიანობის შესახებ ან კომერციული საიდუმლოება. საბანკო საიდუმლოს გაცემის წესი რეგულირდება „ბანკისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ უკრაინის კანონის 62 მუხლით და არ ითვალისწინებს მის გამხელას უკრაინის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის გარეშე“.³⁰

ორგანიზაციას, 2016 წლის იანვრის თვის მდგომარეობით, ს.ს. „ინტელექტბანკის“ საქმესთან დაკავშირებით, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, სხვა კორესპოდენცია არ მოუშადავია. ორგანიზაციის სამართლის ჯგუფის მხრიდან, მიღებული ინფორმაცია, ჩაითვალა საკმარისს მტკიცებულებად, რომელიც ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივებისა და პასივების, კანონიერი მფლობელებისთვის წარმევის და მათი ს.ს. „საქართველოს ბანკისთვის“ უკანონოდ გადაცემის მართლზომიერების საკითხის შეფასებისთვის, მკაფიო დასკვნების შესაძლებლობას ტოვებს, თუმცა საქმეზე შედგომი მუშაობის შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, ორგანიზაციამ მიმართვიანობა განაახლოს.

³⁰ ს.ს. „უკრაინული ბანკის“ დირექტორატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ა.ვ. დუბროვინის 2015 წლის 7 აგვისტოს #1173/6991/2015 წერილი

4. დასკვნა

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში, კანონიერებისა და სამართლიანობის სახელით, ხელისუფლებამ ქონებების გადანაწილების პროცესი დაიწყო, რამაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების უბეში დარღვევები და სისტემური დანაშაულებების ჩადენა გამოიწვია. 2014 წლის 23 ივლისის გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაში, განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა რეკომენდაციებმა საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ, რათა შექმნან ეფექტური მექანიზმი და მოახდინონ 2003-12 წლებში მოქმედი ხელისუფლების პირობებში ჩადენილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ეფექტური გამოძიება, რომელიც ატარებდა სისტემურ ხასიათს და წარმოადგენდა სისტემური დანაშაულის სახეს. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკამ თავისი ასახვა ჰპოვა მესაკუთრეთა უფლებებსა და ბიზნესს სფეროზეც. კანონის სახელით, ადგილი დაეთმო უკანონო მოქმედებების განხორციელებას, რომელიც განსაკუთრებული სიმძაფრით, საკუთრების უფლების და ბიზნეს-წილების გახშირებული ფაქტების სტატისტიკით დასრულდა. ორგანიზაციის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 31 დეკემბრის #14/51832 წერილის მიხედვით, სახელმწიფოს სასარგებლოდ, 2004-2014 წლებში, ჩუქების ხელშეკრულებით, უსასყიდლოდ ან მიტოვების ფორმით, გადაცემული ქონებების, წილების, აქციებისა და ავტომობილების ოდენობამ შეადგინა 5634 უძრავი თუ მოძრავი ნივთი. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში აღჩეულმა ხელისუფლებამ საჯაროდ განაცხადა, რომ ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე, სახელმწიფო სამართლიანობის აღდგენას უზრუნველყოფდა. სამართლიანობის აღდგენის საჯარო დაპირება ხელისუფლებამ მოქალაქეებს ჯერ კიდევ გამოქვეყნებული საარჩევნო პროგრამის ფარგლებში შესთავაზა, თუმცა საქართველოს მთავრობამ არაერთხელ აღნიშნა, რომ ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე, სამართლიანობის აღდგენის პროცესი ცალკეული ხარვეზებით გამოირჩევა. მართალია, 2015 წლის იანვარში, საქართველოს მთავარ პროკურატურაში, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი შეიქმნა, თუმცა მოცემულ ეტაპზე, ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე სწრაფი და ეფექტური საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება, მაინც ვერ ხდება.

2004-2012 წლებში მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკის შედეგები მძიმედ აისახა ქართულ საბანკო სფეროზეც. ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის ტოტალურმა კონტროლმა, მათ შორის საბანკო სფეროს მხრიდან ქვეყანაში არსებული კანონდარღვევების მიმართ, ბიზნესის თავისუფლების შეზღუდვების ფაქტების გამო, ლოიალური დამოკიდებულებები შექმნა. ხელისუფლებამ რეპრესიული პოლიტიკის გამოყენებით, შეძლო საბანკო სუბიექტების მონოპოლიზირება და მათი ფინანსური რესურსის გამოყენება საარჩევნო, წინასაარჩევნო თუ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად, ხოლო ბანკები და მისი მფლობელები, რომლებიც არ აღმოჩნდნენ პოლიტიკური სისტემის ინტერესების გამზიარებელი თუ შემსრულებელი, პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან დასჯის თვალსაჩინო მაგალითი აღმოჩნდნენ. ამ თვალსაზრისით, საზოგადოებისთვის ცნობილია 4 ბანკის ისტორია. კერძოდ, ს.ს. „სტანდარტ ბანკის“, ს.ს. „სახალხო ბანკის“, ს.ს. „ბანკი ქართუს“ და ს.ს. „ინტელექტბანკის“ საქმეები. თითოეული ბანკის ჩამორთმევისა და ბიზნესების გაკოტრების საქმეში იკვეთება საქართველოს ეროვნული ბანკის თანამონაწილეობა და მნიშვნელოვანი როლი. ხელისუფლების მხრიდან საბანკო სფეროს ოთხი მნიშვნელოვანი სუბიექტის, ზემოთაღნიშნული ბანკების გაკოტრებას აერთიანებდა ერთი საერთო მოქმედების გეგმა და ხელწერილი - ბანკებში დანიშნული დროებითი ადმინისტრაციების მხრიდან ბიზნესების გაკოტრებით დასრულებული შედეგები. ასე მაგალითად: 2007 წლის 7 ნოემბრის თბილისის სისხლიანი დარბევის შემდეგ, 24 ნოემბერს, ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილ ს.ს. „სტანდარტ ბანკში“ ინიშნება დროებითი ადმინისტრაცია. ბანკის მენაბრეებსა და კლიენტებზე განხორციელდა ზეწოლა, ხოლო 2 კვირის მანძილზე, ბანკიდან გავიდა 40 მილიონი. 2008 წლის 28 დეკემბერს, ს.ს. „სახალხო ბანკის“ აქციონერები ხელს აწერენ ნასყიდობის ხელშეკრულებას და 318 მილიონი ლარის აქტივს ოფშორში დარეგისტრირებულ „ევროილზე“ 10 მილიონად ყიდიან. 2011 წელს, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში

მოსვლის შემდეგ, კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა და ბანკებს პირველადი იპოთეკარის უფლება ჩამოერთვათ. ს.ს. „ბანკი ქართუს“ კრედიტორებს, ბანკის სასარგებლოდ დატვირთული ქონება სახელმწიფოს სასარგებლოდ დაათმობინეს, რის შემდეგაც, ს.ს. „ბანკი ქართუ“ ველარ აკმაყოფილებდა დადგენილ ნორმატივებს, ეროვნულმა ბანკმა კი „ქართუ“-ში დროებითი მმართველი შეიყვანა, თუმცა საბანკო სისტემის პირველი მსხვერპლი, სადაც წინა ხელისუფლებამ რეპრესიები განახორციელა, ს.ს. „ინტელექტბანკი“ აღმოჩნდა. საყურადღებოა, რომ ამ ყველა ზემოთაღნიშნული ბანკის, ხელოვნურად გაკოტრების პროცესში, გიორგი ქადაგიძე, სხვადასხვა ფორმით, ამ პროცესების აქტიურ მონაწილედ გვევლინება.

2006 წლის თებერვალში, ხელისუფლებამ, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაწილეობით, და სებ-ის დღევანდელი ხელმძღვანელის, გ. ქადაგიძის უშუალო ჩართულობით, იერიში მიიტანა ქვეყნის ერთ-ერთი წარმატებული და მომგებიანი ბანკის კაპიტალზე, რაც დასრულდა იმით, რომ დაახლოებით 36 საათში, სახელმწიფოს რეპრესიული მანქანის მეშვეობით, ს.ს. „ინტელექტბანკი“ სიმბოლურ ფასად - 1 ლარად გასხვისდა. სამწუხაროდ, მაშინდელი ქართული საზოგადოება არ აღმოჩნდა მზად სწორი დასკვნები გაეკეთებინა და სამოქალაქო პროტესტი გამოეხატა ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ, რამაც ჯაჭვური რეაქცია იქონია საბანკო სისტემის მიმართ, უკვე შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე. სწორედ ს.ს. „ინტელექტბანკთან“ მიმართებაში, წინა ხელისუფლებამ გაიარა ე.წ. „რეპეტიცია“ და იგივე სქემა, ოღონდ ახლა უკვე უფრო მეტად დახვეწილი, გამოიყენა სხვა, ზემოთაღნიშნულ ბანკებთან მიმართებაშიც.

ორგანიზაციის მიერ შესწავლილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შედეგად, ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ს.ს. „ინტელექტბანკი“ 2004-2012 წლებში მოქმედი ხელისუფლების მიერ ჩადენილი სისტემური დანაშაულებების გაგრძელება და მაგალითია. ბანკის გაკოტრება წარმოადგენდა ხელისუფლების განსაკუთრებულ მიზანს, რომლის შედეგადაც, ა) საბანკო სფეროში არსებული წონასწორობა დაირღვა და ლიდერი ბანკის ფუნქციით აღიჭურვა ხელისუფლებასთან დაახლოებული ს.ს. „საქართველოს ბანკი“, ბ) ხელისუფლებას, დაახლოებული ბანკის მეშვეობით, გაუჩნდა უშუალო წვდომა ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივებთან და პასივებთან და გ) ხელისუფლებამ, ეროვნული ბანკის უშუალო ჩაერევითა და მონაწილეობით, გაანეიტრალა ს.ს. „ინტელექტბანკის“ მზარდი კაპიტალიზაცია, რომელიც განსხვავებული სამოქალაქო და პოლიტიკური შეხედულებების მქონე აქციონერების თუ ბანკის დამფუძნებლების ბიზნესს წარმოადგენდა. ამასთან, ბანკში განხორციელებული ძალმომრეობითი მოქმედებები ფართო მიზნად ისახავდა საბანკო სფეროს საზოგადოებისა და ზოგადად, საზოგადოების წინაშე ძალაუფლების დემონსტრირებას, პოლიტიკური ხელისუფლების სიმკაცრის გამოვლინებას და თავისუფალი ბიზნესის დამორჩილებას. სამწუხაროდ, ამ პროცესში, ხელისუფლების მიზნების გამტარებელი აღმოჩნდა ქვეყნის მთავარი საფინანსო ინსტიტუტი - საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის ორი პრეზიდენტის - რომან გიცირიძისა და გიორგი ქადაგიძის გადაწყვეტილებებმა, ხელისუფლების პოლიტიკური მიზნების შესრულებას შეუწყვეს ხელი, ს.ს. „ინტელექტბანკი“ კი ხელოვნურად მიიყვანეს გაკოტრებისა და გასხვისების პროცედურამდე.

ორგანიზაცია კვლევის პროცესში, ყურადღებას დაუთმოს იმ გარემოებას და სამართლებრივ გადაწყვეტილებების შეფასებას, რომელმაც ს.ს. „ინტელექტბანკის“ დასუსტება, გაკოტრება და გასხვისება გამოიწვია. შეწავლილი მასალა ცალსახად მიუთითებს, რომ ბანკს, ქართულ სინამდვილეში იმთავითვე ეკავა მოწინავე და ლიდერის პოზიცია. საწესდებო კაპიტალი, თავდაპირველად შეადგენდა 3 099 770 ლარს, ხოლო 2001 წლიდან 5 000 000 ლარს. ამავე დროს, ბანკს გააჩნდა 64 000 000 ლარის აქტივები, ხოლო მისი მთლიანი კაპიტალი, 2005 წლის 31 დეკემბრის ბანკის საწინააღმდეგო ბალანსის მიხედვით, შეადგენდა 10 348 000 ლარს. Regnum-ის ინფორმაციით, 2006 წელს, ს.ს. „ინტელექტბანკი“, საქართველოს უდიდესი ბანკების ათეულში შედიოდა, სააქციო კაპიტალით - 26 მლნ 169 ათასი ლარი.³¹ შესაბამისად, ბანკი მიმზდველი ხდებოდა უცხოელი ინვესტორებისთვის. ისინი გამოთქვამდნენ მზადყოფნას სოლიდური ინვესტიციების განხორციელებისთვის. ბანკის მიმართ თანამშრომლობის

³¹ <http://regnum.ru/news/economy/620021.html>

შესაძლებლობები იზრდებოდა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზეც, თუმცა მისი სისტემური განვითარებისთვის, საბედისწერო აღმოჩნდა 2005-2006 წლებში განვითარებული მოვლენები, რომელმაც ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივები და პასივები, კანონიერი მესაკუთრეების მიღმა აღმოჩნდა. შეწავლილი დოკუმენტების თანახმად, დადასტურებული ფაქტია, რომ ბანკის მიმართ მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელების მზადყოფნას გამოთქვამდა უკრაინული „უკრგაზბანკი“. აღნიშნული ინფორმაციის საქმიან წრეებში გავრცელების შემდგომ ს.ს. „ინტელექტბანკის“ შემენის ინტერესი გამოხატა ს.ს. „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენლობამაც. მასალებიდან ჩანს, რომ 2005 წლის ზაფხულში, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ და ს.ს. „ინტელექტბანკის“ ხელმძღვანელობას შორის არსებობდა მოლაპარაკებების პროცესი, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მხრიდან ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციათა პაკეტის სავარაუდო შესყიდვისა და ბანკის შეერთებასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული მოლაპარაკებების პროცესი მუდმივად შედეგის გარეშე სრულდებოდა - „საქართველოს ბანკს“ ნომინალური ღირებულებით სურდა შეესყიდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციათა პაკეტი, რასაც მხარე, უკრაინელ ინვესტორებთან მოლაპარაკებების პროცესის პარარელურად, კატეგორიულად არ ეთანხმებოდა. მას შემდეგ, რაც ს.ს. „ინტელექტბანკში“ უკრაინული ინვესტიციის განხორციელების საკითხი დადებითად გადაწყდა და მხარეთა შორის შეთანხმებების სამართლებრივი მხარე დადგა, აღნიშნული პროცესის შემაფერხებელ ფაქტორად შემოდის საქართველოს ეროვნული ბანკი. ს.ს. „ინტელექტბანკის“ ხელმძღვანელობა დგება რეალობის წინაშე, როდესაც ერთმანეთის პარარელურად იწყება, როგორც სებ-ის მიერ უკანონოდ დადგენილი სანქციების შესრულება, მეორე მხრივ - ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მესვეურებთან ს.ს. „ინტელექტბანკის“ შემენასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებების პროცესის განახლება. შესწავლილმა მასალებმა ცხადყო, რომ პროცესის დინამიკა იმთავითვე ს.ს. „ინტელექტბანკში“ უკრაინული ინვესტიციების განხორციელების საწინააღმდეგოდ და ს.ს. „საქართველოს ბანკის“ პოზიციების დასაცავად იქნა მიმართული, ასეთ ინტერესს კი, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაწილეობით, ხელისუფლება და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები გამოხატავდნენ. სწორედ, ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ს.ს. „ინტელექტბანკს“ 2005 წლის დეკემბერში, აუკრძალა ყველა სახის დეპოზიტის მიღება, ახალი კრედიტების გაცემა და სხვა საწარმოების კაპიტალში ინვესტიციების განხორციელება. მონიტორინგი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სებ-ის აღნიშნული გადაწყვეტილება ბანკთან წინასწარი შეთანხმების გარეშე მოხდა. სებ-ს არავითარი კანონიერი საფუძვლები არ გააჩნდა ასეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის. ბუნებრივია, სებ-ის მიერ დაწესებულმა აკრძალვებმა უკრაინულ პარტნიორებთან მოლაპარაკებები შეაფერხა. მასალებიდან ჩანს, რომ 2005 წლიდან 2006 წლის იანვრისთვის შუალედში, სებ-ის მიერ შექმნილი გარემო პირობებში, ბანკის აქციონერებთან ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მაშინდელი გენერალური დირექტორის მოადგილის, ირაკლი გილაურის მხრიდან ხორციელდებოდა ინტენსიური კონტაქტი. სებ-ის მიერ ზეწოლის ზრდის პარალელურად, ისმოდა კითხვა, იყო თუ არა მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერების მხრიდან, მის მიერ ადრე დასმულ საკითხთან - ბანკის აქციათა პაკეტის ს.ს. „საქართველოს ბანკისთვის“ ნომინალური ღირებულებით მიყიდვასთან დაკავშირებით და ხომ არ იყო ს.ს. „ინტელექტბანკი“ მზად ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ხელმძღვანელ პირველ პირებთან შეხვედრისთვის. კვლევა ყურადღებას მიაქცევს ბანკის წარმომადგენლებისა და სებ-ის ხელმძღვანელი პირების შეხვედრას 2006 წლის იანვრის თვეში. ს.ს. „ინტელექტბანკის“ წარმომადგენლების მხრიდან მკაფიოდ იქნა განმარტებული, რომ ბანკის ხელმძღვანელობას, მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვისთვის, უკვე დასრულებული ჰქონდა მოლაპარაკება ს.ს. „უკრგაზბანკთან“ და აგრეთვე სხვა კერძო ინვესტორებთან. მიწოდებული ინფორმაციის მიმართ, სებ-ის მაშინდელ პრეზიდენტ რომან გოცირიძეს საწინააღმდეგო პოზიცია არ გამოუხატავს, ხოლო სებ-ის ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის მაშინდელმა უფროსმა, გიორგი ქადაგიძემ განაცხადა, რომ ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციათა პაკეტის ღირებულება, რომელიც ს.ს. „ინტელექტბანკის“ წარმომადგენლების მიერ შეთანხმებული იყო ს.ს. „უკრგაზბანკთან“, ასევე კერძო ინვესტორებთან, ძალიან მაღალი იყო. აღნიშნული შეფასებები გიორგი ქადაგიძის უფლებამოსილებიდან არ გამომდინარეობდა და ამ შემთხვევაში გიორგი ქადაგიძე, ფაქტიურად ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ინტერესებს ატარებდა და მის პოზიციას გამოხატავდა. საქმის მასალებიდანაც ჩანს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მაშინდელმა პრეზიდენტმა, რომან გოცირიძემ გიორგი ქადაგიძეს მიუთითა, რომ

აქციათა პაკეტის ღირებულება თავად ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციონერთა გადასაწყვეტი იყო და საქართველოს ეროვნული ბანკი, აღნიშნულ საკითხში, თითქოსდა ვერ ჩაერეოდა.

ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმოს იმ გარემოებას, რომ ს.ს. „ინტელექტბანკის“ მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან განხორციელებული მორიგი იურიდიული აქტით შექმნილი წინააღმდეგობა გახლდათ 2006 წლის თებერვალში მიღებული გადაწყვეტილება. სებ-მა, თითქოსდა საზედამხედველო კაპიტალის შენარჩუნების მიზნით, ბანკს სანქციები დაუწესა. ბანკს, რომელსაც 2006 წლის თებერვლის მდგომარეობით, უკვე შესრულებული ჰქონდა სებ-ის მიერ 2005 წელს გაცემული რეკომენდაციები, დამატებითი სანქციებით დაწესებით, იგი მნიშვნელოვანი დაბრკოლებების წინაშე სწორედ სებ-ის პოზიციის გამო, ხელოვნურად აღმოჩნდა. ს.ს. „ინტელექტბანკს“, არაგონივრულ ვადაში, კერძოდ ერთი კვირის განმავლობაში, დაევალა, საზედამხედველო კაპიტალის აღდგენა 7,8 მლნ. ლარის ოდენობით, წინამდებ შემთხვევაში კი, საქართველოს ეროვნული ბანკი, დაიმუქრა, რომ გამოიყენებდა კანონით გათვალისწინებულ საზედამხედველო ღონისძიებებს. ამ ვითარებაში, ბანკის ხელმძღვანელობამ შეუძლებელი გააკეთა. 2006 წლის 8 თებერვალს, უკრაინულმა ს.ს. „უკრაგაზბანკმა“ „ბეს“ სახით, საქართველოს ეროვნულ ბანკს, ს.ს. „ინტელექტბანკის“ საკორესპონდენტო ანგარიშზე, ჩარიცხა 2 000 000 აშშ დოლარი. მართალია, კვლევის პროცესში აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი, არც ორგანიზაციის და არც ბანკის ყოფილი აქციონერების მიმართ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, კომერციული საიდუმლოების მიზეზით, არ გასცა, თუმცა საქართველოს მთავარ პროკურატურაში, მოწმის სახით დაკითხული ს.ს. „ინტელექტბანკის“ ყოფილი აქციონერები აღნიშნავენ, რომ მაშინ ს.ს. „ინტელექტბანკი“ და ს.ს. „უკრაგაზბანკი“ შეთანხმდნენ, რომ ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქციათა პაკეტის 50 %-ის შესყიდვაში, უკრაინული მხარე გადაიხდიდა 5 000 000 აშშ დოლარს და დამატებით განახორციელებდა 10 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციას. მასალებით დასტურდება, რომ 2006 წლის 9 თებერვალს, ს.ს. „ინტელექტბანკის“ მიერ სებ-ს წერილობით ეცნობა საზედამხედველო კაპიტალის აღსადგენად გატარებული ღონისძიებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის თებერვალის პირველი კვირიდან, ს.ს. „უკრაგაზბანკის“ დელეგაცია უკვე იმყოფებოდა საქართველოში. ის ეცნობოდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ საქმიანობის ყველა დეტალს, ბანკის ფილიალების თანამშრომლებს, ოფისებს და ინტენსიურად ემზადებოდა ს.ს. „ინტელექტბანკში“ ინვესტიციების განსახორციელებლად და ბანკის განახლებული სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად.

ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივებისა და პასივების ს.ს. „საქართველოს ბანკისთვის“ უკანონოდ გადაცემის და მისი ხელოვნურად გაკოტრების პროცესი, 2005 წლის სექტემბრიდან დაიწყო, ბანკის მიმართ არსებული ნორმატივების უკანონო გამკაცრებით და 2006 წლის 10 თებერვალს მიღებული განკარგულებით, ამ პროცესის აღსრულებით ეტაპზე გადავიდა. სებ-ის ვიცე-პრეზიდენტის მხრიდან გამოცემული იქნა განკარგულება ს.ს. „ინტელექტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე. აღნიშნულ განკარგულებაში პირდაპირ ჩაიწერა, რომ დროებითი ადმინისტრაციის ბანკში შესვლის მიზანს წარმოადგენდა მისი კაპიტალიზაციისა და ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება. დროებითი ადმინისტრაციის წევრებს დაევალათ აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე აუცილებელი ზომების გატარება. კვლევა, ამ პროცესში, ყურადღებას მიაქცევს ორ უმნიშვნელოვანეს გარემოებას - რამდენად შეძლო დროებითმა ადმინისტრაციამ უფლების მართლზომიერად განხორციელება და რამდენად კანონიერი გახლდათ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ მიღებული განკარგულება. მიგვაჩნია, რომ ბანკის გაკოტრების სამართლებრივი შეფასებისთვის, აღნიშნულ საკითხებს სტრატეგიული და არსებითი მნიშვნელობა გააჩნიათ. შესაბამისად, ორგანიზაციამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, თუ რა ღონისძიებები და მოქმედებები განახორციელა ბანკში მივლენილმა დროებითი ადმინისტრაციამ და რატომ არ მიიღო დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის გადაწყვეტილება უშუალოდ სებ-ის პრეზიდენტმა. შესწავლილი მასალების თანახმად, დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის მომენტიდან ბანკის მიმართ დაწესდა შემდეგი სახის აკრძალვები: შეჩერდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ ყველა ორგანოს (მათ შორის აქციონერთა საერთო კრებისა და ადმინისტრირების) უფლებამოსილება, დროებით ადმინისტრაციას გადაეცა ს.ს. „ინტელექტბანკის“ ყველა ორგანოს (მათ შორის აქციონერთა საერთო კრებისა და ადმინისტრირების) სრული უფლებამოსილება, დროებითი ადმინისტრაციის

დანიშნვის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადაწყვეტილების მიღების დღიდან, დაუშვებლად გამოცხადდა ნებისმიერი მოქმედება ს.ს. „ინტელექტბანკის“ სახელით და მის ხარჯზე დროებითი ადმინისტრაციის წერილობითი თანხმობის გარეშე. ბანკში დროებითი ადმინისტრაციის შესვლისთანავე, ბანკის ადმინისტრაციულ შენობაში გამოჩნდნენ და კონტროლი დაამყარეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2012 წლის ნოემბრამდე მოქმედმა დანაყოფმა - სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტისა (სოდ-ი) და საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა. მოწმეთა ჩვენებების მიხედვით, პრაქტიკულად ორი დღე-ღამის განმავლობაში, ს.ს. „ინტელექტბანკის“ თანამშრომლებს და უფლებამოსილების მქონე პირებს, არ ეძლეოდათ შენობის დატოვების საშუალება. მოწმეები მიუთითებენ, რომ ადგილი ჰქონდა აგრესიას და შეუწყნარებელ დამოკიდებულებებს. მასალებიდან ჩანს, რომ დროებითი ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ს.ს. „ინტელექტბანკის“ ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირებისგან მოითხოვდნენ დროებითი ადმინისტრაციის მიერ შედგენილ, სხვადასხვა ფინანსურ დოკუმენტზე ხელმოწერას. აღნიშნულის პარარელურად, დროებითი ადმინისტრაციის დაშვებით, ს.ს. „ინტელექტბანკში“ შევიდა ს.ს. „საქართველოს ბანკის“ თანამშრომელთა ჯგუფი, რომლებმაც, უკანონოდ დაეპატრონენ ბანკს და დაიწყეს ბანკის სრული მართვა-გამგებლობა. მათ უკანონოდ დაიქვემდებარეს ბანკის თანამშრომლები და დაავალეს სხვადასხვა ფუნქციების შესრულება. ს.ს. „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენლებმა, ჩამოხსნეს ს.ს. „ინტელექტბანკის“ აბრები, დაიბარეს ბანკის მენაბრეები, დეპოზიტარები და მსესხებლები და თითქოსდა მათივე სურვილით, გაუხსნეს საბანკო ანგარიშები ს.ს. „საქართველოს ბანკში“. მასალებით ჩანს, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ თანამშრომლებმა ს.ს. „ინტელექტბანკში“ არსებული საბანკო ანგარიშებიდან, ს.ს. „საქართველოს ბანკში“ ახლადგახსნილ ანგარიშებზე ფულადი სახსრების გადატანა დაიწყეს. 2006 წლის 12 თებერვალს, ს.ს. „ინტელექტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის შესვლიდან, 2 არასამუშაო დღეში, საზოგადოებას ეცნობა, რომ გამოცხადებულ აუქციონზე, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, ს.ს. „ინტელექტბანკი“ გასხვისდა და მისი მფლობელი ს.ს. „საქართველოს ბანკი“ გახდა, თუმცა აღნიშნული აუქციონის გამოცხადების ან ჩატარების არანაირი დასტური არ არსებობს. საქმეში არსებობს, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2006 წლის 30 დეკემბრის განკარგულება „ს.ს. „ინტელექტბანკისთვის“ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ“, რომლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, ნათქვამია, რომ „დასრულდა ს.ს. ინტელექტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციული რეჟიმი, ბანკი გამოცხადდა გადახდისუუნაროდ და გაუუქმდა საბანკო საქმიანობის ლიცენზია“. ბუნებრივია, მოცემულ შემთხვევაში, ადგილი აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან კანონდარღვევისა და უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტებს. ბანკი, რომელიც გადახდისუუნაროდ არც კი იქნა გამოცხადებული, ორი დღე-ღამის განმავლობაში, არასამუშაო დღეს გამოცხადებული აუქციონის შედეგად, აღმოჩნდა კონკურენტი ბანკის საკუთრებაში, რასაც წინ უძღოდა მოქმედი თანამშრომლების, აქციონერებისა თუ ადმინისტრაციული თანამდებობის პირების მიმართ იძულებისა და თავისუფლების აღკვეთის ფაქტები. ჩვენი შეფასებით, დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნისას და მათ მიერ საქმიანობის განხორციელებისას, დარღვეულ იქნა საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ 31-ე, 33-ე, 34-ე მუხლის მოთხოვნები, რადგან არ არსებობდა არანაირი საფუძვლები დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე. ს.ს. „ინტელექტბანკი“ გასხვისების დროს, 2006 წლის 12 თებერვალს, საქართველოს ეროვნული ბანკის არც ერთი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, გადახდისუუნაროდ არ ყოფილა გამოცხადებული. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულის კანონის 59-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, „კომერციული ბანკი და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება მხოლოდ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოცხადდეს გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად ეროვნული ბანკის მიერვე დადგენილი წესით.“ ს.ს. „ინტელექტბანკში“ შესული დროებითი ადმინისტრაცია მოქმედებდა განსაკუთრებული უფლებამოსილების ქვეშ და მიზანს წარმოადგენდა ბანკის ფინანსური გაჯანსაღება. აღნიშნული ვალდებულებები დროებით ადმინისტრაციას, აგრეთვე ეკისრებოდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულის კანონის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად, რა დროსაც „ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებისთვის გამოსცეს შესაბამისი დადგენილებები, ბრძანებები, დებულებები, წესები, ინსტრუქციები, სახელმძღვანელოები, მითითებები. განხორციელოს შესაბამისი ღონისძიებები და დააწესოს სანქციები, რომელსაც იგი

საჭიროდ მიჩნევს საფინანსო საკრედიტო სისტემის სიმტკიცისათვის“. მოცემულ შემთხვევაში, ბანკში შესულმა დროებითმა ადმინისტრაციამ (გ. ქადაგიძე), იმოქმედა უფლების საწინააღმდეგოდ, განახორციელა ბანკის მიმართ საწინააღმდეგო და მიზანმიმართული ქმედებები, უარი უთხრა ინვესტორს ინვესტიციების განხორციელებაზე და არსებული საბანკო საბუთების გაყალბების გზით, ბანკი მიიყვანა გაკოტრების ხელოვნურ მაჩვენებლამდე და გამოცხადებული აუქციონის გზით, კანონსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგების ფასად - 1 ლარად, მოახდინა მისი გასხვისება. ამდენად, დროებითი ადმინისტრაციის მიერ შესვლის პირველსავე დღიდან განხორციელებულმა მოქმედებამ არა ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება გამოიწვია, არამედ სააქციო საზოგადოება მიზანმიმართულად მიიყვანა ფაქტობრივ ლიკვიდაციამდე. ამასთან, ჩვენი ინტერესია, რომ ყურადღება დავუთმოთ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ გამოცემული აქტის კანონიერების საკითხსაც. კანონის შესაბამისად, კომერციულ ბანკში დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნა უნდა განხორციელებულიყო ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილებით ან ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით, ხოლო ადმინისტრაციული აქტი ს.ს. „ინტელექტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ მიიღო ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა, განაკრგულების ფორმით. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის თანახმად, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელია პრეზიდენტი, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში, ვიცე-პრეზიდენტი. საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი მასალებიდან დადგენილია, რომ 2006 წლის 10 თებერვალს, დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ დადგენილების მიღების დროს, ეროვნული ბანკის მაშინდელი პრეზიდენტი რომან გოცირიძე ასრულებდა სამსახურეობრივ მოვალეობას, მაგრამ 2006 წლის 10 თებერვალის ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია სებ-ის ვიცე-პრეზიდენტ ეკატერინე გალდავას მიერ. ჩვენი შეფასებით, აღნიშნული ადმინისტრაციული აქტი მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოცემულ აქტად. მოცემულ შემთხვევაშიც, მკაფიოა ის გარემოება, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მაშინდელმა პრეზიდენტმა, რომან გოცირიძემ, ს.ს. „ინტელექტბანკში“ განვითარებულ მოვლენებზე, რომლის საფუძველიც გახდა 2006 წლის 10 თებერვლის დადგენილება, სამართლებრივი და პოლიტიკური პასუხისმგებლობა, ირიბად არ აიღო. სებ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ბანკში განვითარებულ მოვლენებზე, პასუხისმგებლობა დაუტოვა დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შემდგომში სებ-ის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეს. ორგანიზაციამ კვლევის პროცესში, ვერც რომან გოცირიძის და ვერც გიორგი ქადაგიძის მხრიდან, ს.ს. „ინტელექტბანკის“ გაკოტრების ფაქტებთან დაკავშირებით, გამოხმაურება და განმარტებები ვერ მიიღო. კვლევის პროცესში, ცალკეულ ფაქტებზე დუმილი ამჯობინა საქართველოს ეროვნული ბანკის დღევანდელმა ადმინისტრაციამაც, ხოლო მოწმეთა ჩვენებებით ცალსახად მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, ს.ს. „ინტელექტბანკში“ ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაციის შესვლასთან ერთად, ადგილზე შევიდნენ ძალოვანი უწყების წარმომადგენლები, 2015 წლის 1 დეკემბრის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილში აღინიშნა, რომ 2006 წლის 10 თებერვალს, ს.ს. „ინტელექტბანკში“, საქართველოს ეროვნული ბანკის დროებით ადმინისტრაციის შესვლასთან ერთად, ბანკში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების შესწვლასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს ინფორმაცია არ გააჩია. შესაბამისად, 2012 წლის პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილების შემდგომ, შსს-დან მიღებული გამოხმაურების საფუძველზე, შესაძლებელია გარკვეული შეფასების გაკეთება. კერძოდ, აღნიშნული გამოხმაურება მიუთითებს, რომ 2006 წლის თებერვალში, ს.ს. „ინტელექტბანკში“ განხორციელებული დროებითი ადმინისტრაცია შესწვლა, წარმოადგენდა არა ვითარების გაჯანსაღებისკენ მიმართულ ნაბიჯს, არამედ სადამსჯელო ხასიათის ოპერაციას. ის ფაქტი, რომ ამჟამად შსს-ში არ მოიპოვება ბანკში სოდ-ის წარმომადგენლების შესვლის რეგიტიმური საფუძვლები, კიდევ ერთხელ მიუთითებს ს.ს. „ინტელექტბანკში“ დაგეგმილი და განხორციელებული ქმედებების უკანონობასა და დანაშაულობაზე.

ორგანიზაცია ცალკე ყურადღებას დაუთმობს ხელისუფლების სახელით, საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან განხორციელებულ იმ ქმედებებს, რომლის მიხედვითაც, ს.ს. „ინტელექტბანკის“ გაკოტრება, ქართულ საბანკო სივრცეში, მხოლოდ ერთი კომერციული ბანკის - ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ინტერესების სასარგებლო აღმოჩნდა. კვლევა სვამს კითხვებს სებ-ის იმ გადაწყვეტილებების

შესახებაც, რომელმაც ს.ს. „საქართველოს ბანკს“ ს.ს. „ინტელექტბანკის“ შეერთების შემდეგ, მნიშვნელოვანი ფინანსური შეღავათები მიეცა. ამასთან, მნიშვნელოვანია შევავსოთ სტრატეგიული ხასიათის ფაქტობრივი გარემოებაც - როდის მოხდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ ს.ს. „საქართველოს ბანკისთვის“ შეერთება? 2006 წლის 12 თებერვალს, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიერ ს.ს. „ინტელექტბანკის“ შეძენის ფაქტი, მასობრივი-საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით, თავიდანვე დაადასტურეს, როგორც ს.ს. „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენლებმა, ასევე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა და საქართველოს მთავრობის იმჟამინდელმა თავმჯდომარემაც. ყველა მათგანი, ფაქტს ქართულ საბანკო სექტორში ერთ-ერთ მსხვილ გარიგებად მოიხსენიებდა, თუმცა მოგვიანებით, „საქართველოს ბანკის“ აუდიტორულ ანგარიშებში ჩაიწერა, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ ს.ს. „ინტელექტბანკის“ შესყიდვა თითქოსდა 2006 წლის 21 თებერვალს მოახდინა. აღნიშნულ თარიღს, სინამდვილეში, გააჩნია მნიშვნელოვანი ახსნა და დანიშნულებაც. საქმის მასალების მიხედვით, 2006 წლის 21 თებერვალს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო, რაც სიახლეს წარმოადგენდა იმჟამად საბანკო სფეროსთვის. სებ-მა ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიმართ, შეღავათიანი პირობებით გასცა კრედიტი, 20 000 000 ლარის ოდენობით, 2 წლის ვადით, საპროცენტო განაკვეთით 6.2% და %-ის ბოლოს, სესხთან ერთად დაფარვის პირობით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ოდენობით სესხის გაცემა, ფაქტობრივად, ფულის ემისიის ტოლფასი იყო, აღნიშნული სესხი, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასცა მაშინ, როცა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, სესხის გაცემამდე დაახლოებით 2 კვირით ადრე, მას აძლევდა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს, მიმოქცევიდან უნდა ამოეღო ჭარბი ფული. აღნიშნული სესხის გაცემამდე, 1 დღით ადრე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, 2006 წლის 20 თებერვლის N57 ბრძანებით, დამტკიცებულ იქნა დებულება „საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის მიერ კომერციული ბანკებისთვის კრედიტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ რომლის თანახმადაც, გაუქმდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2001 წლის 13 ივნისის N148 ბრძანებით დამტკიცებული დებულება „საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის მიერ, კომერციული ბანკებისთვის კრედიტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“. ახალი ბრძანებით დამტკიცებული დებულებით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ფაქტობრივად, თავად მიიღო განუსაზღვრელი უფლება კომერციული ბანკებისთვის გასაცემი სესხების პირობების დასადგენად, ისევე როგორც აღნიშნული დებულების საფუძველზე, მისი მიღებიდან მეორე დღესვე, 2006 წლის 21 თებერვალს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ს.ს. „საქართველოს ბანკისთვის“ 20 მლნ. ლარის, 2 წლის ვადით სესხად გაცემა წარმოადგენდა საკამათო და არამართლზომიერ ქმედებას. გარდა ასეთი უპრეცედენტო ოდენობის და საპროცენტო განაკვეთის სესხისა, სებ-მა ს.ს. „საქართველოს ბანკი“, ერთი წლის ვადით გაათავისუფლა საბანკო ნორმატივების შესრულების ვალდებულებისგან. მხოლოდ ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივების დაუფლების გზით და ასეთი ოდენობის სესხის მიღებით და ნორმატივებისგან გათავისუფლებით, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ სებ-ის მხარდაჭერით, საქართველოში ლიდერი ბანკის სტატუსის მატარებელი გახდა. აღსანიშნავია, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიმართ სესხის გამოყოფამდე 1 დღით ადრე, 2015 წლის 20 თებერვალს, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ს.ს. „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმიც, სადაც ს.ს. „ინტელექტბანკში“ ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მმართველობის საკითხმა, მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა. ასევე, აღნიშნული დაბალპროცენტიანი სესხის ოდენობის თანხა, ს.ს. „საქართველოს ბანკმა“, მცირე ხანში, თბილისის ბანკთაშორის ბირჟის მეშვეობით, გაასესხა სხვა ბანკებზე 16 %-ად, რითაც მიიღო მოგება. ჩვენი შეფასებით, აღნიშნული ფაქტები სხვა არაფერია, თუ არა მხარეთა შორის, წინასწარ შეთანხმებული მოქმედებების სისრულეში მოყვანა. ამიტომაც, მონიტორინგის პროცესში, საფუძვლიანად ისმის კითხვა: თუ საქართველოს ეროვნულ ბანკს, 20 000 000 ლარის 6,2 %-ად გაცემის საშუალება ჰქონდა, რატომ მაინც და მაინც ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიმართ გაიცა ეს ფული? თუკი საქართველოს ეროვნული ბანკი აღნიშნავდა, რომ ს.ს. „ინტელექტბანკში“ მდგომარეობა იყო არასტაბილური და დროებით ადმინისტრაციას უნდა უზრუნველყო ბანკის ფინანსური გაჯანსაღება, რატომ არ მოხდა სებ-ის მხრიდან სესხის გაცემა ს.ს. „ინტელექტბანკის“ მიმართ. თუკი, სებ-ის წერილზე დაყრდნობით, თეორიულ დონეზე მაინც ჩავთვლით, რომ ს.ს. „ინტელექტბანკს“ მდგომარეობის გამოსასწორებლად, დაახლოებით 8 000 000 ლარი სჭირდებოდა, ხოლო საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ს.ს. „საქართველოს ბანკს“, ს.ს. „ინტელექტბანკის“ გამო, 20

მილიონი ლარი მისცა, მაშინ ობიექტურად იკვეთება მდგომარეობა, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკის“, ფინანსური მდგომარეობა უარესი ყოფილა და ბანკმა მიღებული 12 მილიონი ლარით, ფაქტობრივად, საკუთარი არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობა გადაფარა და დაიკმაყოფილა.

ცალკე ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ 2001 წლის 13 ივნისის N148 ბრძანებით დამტკიცებული დებულების „საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის მიერ, კომერციული ბანკებისთვის კრედიტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, რომელიც 2006 წლის 20 თებერვლამდე მოქმედებდა, სებ-ს არ ქონდა უფლება ასეთი უპეცენდენტო ოდენობით და პირობებით სესხის გაცემისა და მხოლოდ ს.ს. „საქართველოს ბანკზე“ მორგების მიზნით, ეს ბრძანება შეიცვალა ახალი, 2006 წლის 20 თებერვლის ბრძანებით, რომელიც მოგვიანებით, ისევ შეიცვალა და ისევ ძველ ნორმებს დაუბრუნდა. ყოველივე ეს, კიდევ ერთხელ ადასტურებს რომ სებ-ი, მოქმედებდა ს.ს. „საქართველოს ბანკის“ კომერციული და სრულიად უკანონო მიზნებიდან გამომდინარე და არა ქვეყნის საბანკო სისტემის გაჯანსაღების მიზნით, რაც პირდაპირ მიუთითებს სებ-ის მაშინდელი ხელმძღვანელების თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე.

ორგანიზაციის მიერ კვლევის პროცესში, შესწავლილი მასალებით დადგინდა 2006 წლის 12 თებერვლის შემდგომი ს.ს. „საქართველოს ბანკის“ განსაკუთრებული ფინანსური მდგომარეობაც. 2006 წლის 26 თებერვალს ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა ინგლისურენოვანი ანგარიში: making another step toward banking sector consolidation, რომლის მიხედვითაც, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ტრანზაქციულ გამჭვირვალობად მიიჩნევდა იმ ფაქტს, რომ მან შემჭიდროვებულად მოკლე ვადაში - 60 საათის განმავლობაში, მოიგო ს.ს. „ინტელექტბანკის“ აქტივებისა და პასივების გასაყიდად გამართული აუქციონი. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ამ ტრანზაქციის შედეგად, ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ მიიღო 8 000 000 ლარის წმინდა და საიმედო სასესხო პორტფელი. ანგარიშის თანახმად, ამ ტრანზაქციის შემდეგ, ბანკს გაუჩნდა 3-4 მლნ. ლარის არამოქმედი სესხის აღდგენის საფუძვლიანი ვარაუდი. როგორც ანგარიშიდან ირკვევა, ს.ს. „ინტელექტბანკის“ შერწყმით, ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ მიიღო დამატებითი შემოსავალი 12 000 000 ლარის ოდენობით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ ს.ს. „ინტელექტბანკის“ შერწყმით მიიღო არა 12 მლნ ლარის არამედ გაცილებით მეტი მოგება. მან მიიღო არა 12 000 000 მლნ. ლარის საკრედიტო პორტფელი, არამედ ს.ს. „ინტელექტბანკის“ შერწყმით, ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ მიიღო 30 მლნ. ლარზე მეტი საკრედიტო დაბანდება, რომელთაგან, არსებული მონაცემებით, დაიფარა 80% და ეს სარგებელი ს.ს. „საქართველოს ბანკმა“ წმინდა მოგების სახით მიიღო პირად ანგარშზე. ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მიერვე გამოქვეყნებული რეპორტებიდან (აუდიტორილი დასკვნები და სხვა), აგრეთვე სხვადასხვა სახის ოფიციალური დოკუმენტებიდან (making another step toward banking sector consolidation) ჩანს, რომ ს.ს. „საქართველოს ბანკი“ თავად უაღრესად კარგ შენაძენად აფასებს ს.ს. „ინტელექტბანკს“. შესაბამისად, მიღებული შედეგებით ცხადი ხდება, რომ ს.ს. „ინტელექტბანკი“ არათუ გადახდისუუნაროდ მიჩნეული ბანკი, არამედ მნიშვნელოვანი ინტერესების საგანი იყო. საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნაც არავითარ გარდაუვალობას არ წარმოადგენდა და ყველა მიღებული გადაწყვეტილება, საერთო ჯამში, მოემსახურა ბანკის მიზანმიმართულ დასუსტებას, გაკოტრებას და ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების ხელში ჩაგდებას. როდესაც კვლევის პროცესში ორგანიზაცია ს.ს. „ინტელექტბანკთან“ დაკავშირებით ს.ს. „საქართველოს ბანკის“ მოქმედი ხელმძღვანელების პოზიციით დაინტერესდა, ს.ს. „საქართველოს ბანკიდან“ ორგანიზაციამ 2015 წლის ივნისში მიიღო წერილი, სადაც აღინიშნა, რომ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურაში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, რის გამოც, გამოძიების დასრულებამდე, ბანკი დღეს თავს შეიკავებდა რაიმე სახის განმარტების/კომენტარის გაკეთებისგან. ცხადია, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ დღევანდელი სიფრთხილე საქმეზე სამართლიანობის აღდგენის პერსპექტივებიდან გამომდინარე, ლოგიკური პოზიციაა, რაც არ გამორიცხავს, ბანკის მხრიდან განხორციელებული წარსული მოქმედებები, კრიტიკულად და საქართველოს ეროვნულ ბანკთან ფარული გარიგებების არსებობით, არ შეფასდეს.

ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს იმ გარემოებასაც, რომ 2012 წლამდე არსებული ქართული სასამართლო სისტემა არ აღმოჩნდა დამოუკიდებელი და პოლიტიკური ნებისგან თავისუფალი, ს.ს. „ინტელექტანკის“ საქმესთან დაკავშირებით, მიუკერძოებელი გადაწყვეტილებები მიეღო. საქმეზე სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის უფლებით, ს.ს. „ინტელექტანკის“ აქციონერებმა დავა 2006 წლიდან დაიწყეს, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით, დავა საქართველოს ეროვნული ბანკისა და ს.ს. „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ დასრულდა. ორგანიზაციამ შეისწავლა სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები, რომელიც შავბლონურად იმეორებს ცალკეულ დებულებებს და არ იზიარებს საქმეში არსებულ არც ერთ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებას. სასამართლოები 2006 წლის 10 თებერვლის N68 განკარგულების ბათილად ცნობის წინაპირობებს ვერ ხედავდა, რადგანაც საფუძვლიანად მიაჩნდათ ის გარემოებები, რომ ა) ბანკი ვერ უზრუნველყოფდა საზედამხედველო კაპიტალის შენარჩუნებას, ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაციის მოქმედებები წარმოადგენდა გარდაუვალ ღონისძიებებს და დ/ადმინისტრაცია მოქმედებდა კანონის საფუძველზე, ხოლო გ) სეპ-ის ვიცე-პრეზიდენტის მიერ დროებითი ადმინისტრაციის ს.ს. „ინტელექტანკში“ შესვლის განკარგულება არ წარმოადგენდა არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტს. სასამართლო დასაბუთებები სწორედ აღნიშნულ მსჯელობებში აღმოჩნდა მოქცეული, რამაც მნიშვნელოვნად შელახა წართმეული ბანკის ყოფილი აქციონერებისა და მფლობელების მესაკუთრის უფლებები. სამწუხაროდ, ხელისუფლების რეპრესიული მოქმედებების შედეგად, მხარე აღმოჩნდა განსაკუთრებული ზემოქმედების ქვეშ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, აღარ გასაჩივრებულა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. სამართლებრივი გზით მოქმედებების გაგრძელების შეჩერებაზე გავლენა იქონია მაშინდელი ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა ზეწოლის ფაქტებმაც. კერძოდ, პროკურატურამ დააკავა ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე, ცენტრალური ფილიალის დირექტორი და ბანკის მთავარი ბუღალტერი. დაიწყო ბანკის მესვეურთა მიმართ დაშინების პროცესი. დაკავებულ პირებთან მოგვინებით, მართალია გაფორმდა საპროცესო შეთანხმებები და ისინი გათავისუფლდნენ პატიმრობიდან, თუმცა ამ ვითარებაში, დავის მესამე ხელისუფლების შტოში გაგრძელება, მხარისთვის ყოველგვარ აზრს კარგავდა. აღნიშნულით, ხელისუფლების მაშინდელმა ქმედებებმა, ბანკის წარმომადგენლებს, ფაქტობრივად, საშუალება არ მისცა დავის ეროვნულ დონეზე ყველა სასამართლო ინსტანციის დასრულებისთვის, რომლის შემდგომაც, საქმე გაგრძელებას ჰპოვებდა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში. მას შემდეგ, რაც მხარემ სააპელაციო გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის დადგენილი საპროცესო ვადები, ზემოქმედების შედეგად გაუშვა, საქმის ევროპულ სასამართლოში გაგრძელების პერსპექტივად მოისპო. ამჟამად, შეცვლილი პოლიტიკური და სამართლებრივი გარემოს პირობებში, ჩდება მნიშვნელოვანი საფუძვლები, მხარემ მიმართოს სასამართლოს და იდავოს საქალაქო წესით, ვინაიდან ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე, იქმნება ცალკეული პრეცედენტები დავის წარმატებით მიმდინარეობასთან დაკავშირებით და მართლმსაჯულების სისტემა, გაცილებით მეტ შესაძლებლობას ქმნის, სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა განახორციელოს, თუმცა ს.ს. „ინტელექტანკის“ საქმეზე, საერთო სასამართლოებში დავის გაგრძელებამდე, მნიშვნელოვანია საქმეზე სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაჩქარდეს საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში, სადაც საქმე ამჟამად განიხილება და ს.ს. „ინტელექტანკის“ ყოფილ აქციონერებსა და მფლობელებს გააჩნიათ კანონიერი მოლოდინი, სახელმწიფო მიიღებს მათი დაზარალებულად ცნობის გადაწყვეტილებას.

ორგანიზაციის შეფასებით, სახელმწიფო, საქართველოს ეროვნული ბანკი, ს.ს. „საქართველოს ბანკი“, ძალოვანი უწყებები, შეთანხმებული აღმოჩნდა, რათა ს.ს. „ინტელექტანკის“ დასუსტების, გაკოტრებისა და გასხვისების გადაწყვეტილებები მიეღოთ. შესწავლილმა მასალებმა ცხადყო, რომ ჩადენილია სისხლის სამართლის სავარაუდო დანაშაული, მათ შორის მოქალაქეების თავისუფლების უფლების აღკვეთა, ბანკის მესვეურთა განზრახ უკანონო დაკავება და დაპატიმრება, იძულება, სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამატება, გამოძალვა, მესაკუთრეთა კონსტიტუციური უფლებები. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საქმეც ბიზნესის,

მესაკუთრეების, საკუთრების წინააღმდეგ სისტემური დანაშაულის მაგალითია. ს.ს. „ინტელექტბანკის“ გაკოტრების საქმის ანალოგია რთულია მოიძიო, რამაც კიდევ ერთხელ მიუთითა 2004-2012 წლებში მოქმედი საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების რეპრესიულ მანქანაზე.

5. სარეკომენდაციო წინადადებები

საქართველოს პრეზიდენტის მიმართ

1. მნიშვნელოვანია, საქართველოს პრეზიდენტმა პოლიტიკური შეფასება მისცეს 2004-2012 წლების მმართველობის პერიოდში მოქალაქეების მიმართ განხორციელებულ ქმედებას ქონების დათმობასთან დაკავშირებით და უზრუნველყოს შესაბამისი სამართლებრივი სივრცის გაჩენა, რომელიც მიმართული იქნება საქმეებზე სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას, ყოფილი და მოქმედი კეთილსინდისიერი მესაკუთრეების უფლებებისა და ინტერესების დაცვისკენ;
2. მნიშვნელოვანია, საქართველოს პრეზიდენტმა პოლიტიკური შეფასება მისცეს ს.ს. „ინტელექტანკის“ გაკოტრების პროცესს და ბანკის გასხვისების ფაქტს. პრეზიდენტის შეფასებას აქვს მნიშვნელოვანი დატვირთვა, რათა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, მომავალში არ დაუშვას რომელიმე კომერციული ბანკის მიმართ შერჩევითი დამოკიდებულება, არ აღმოჩნდეს მხარე და უზრუნველყოს ქვეყნის საბანკო ინსტიტუტების სტაბილურობა და დაცვა.

საქართველოს მთავრობის მიმართ

1. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ დააჩქაროს სამართლებრივი მოქმედებები ქონებაჩამორთმეული მოქალაქეების მიმართ სამართლიანი გადაწყვეტილებების დადგომისთვის. ქონებაჩამორთმეული მოქალაქეების მიმართ გამოყენებული იქნეს „რეპრესიების მსხვერპლის“ სტატუსი;
2. მნიშვნელოვანია, ქონებაჩამორთმეულთა საქმეებთან დაკავშირებით, არსებობდეს საქართველოს მთავრობის მკაფიო პოლიტიკური და სამართლებრივი ნება, რითაც აღმასრულებელი ხელისუფლების არაპირდაპირი ჩარევა დააჩქარებს საქართველოს პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საგამოძიებო მოქმედებებსა და ანგარიშვალდებულებას საზოგადოების, განმცხადებლების წინაშე.
3. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ გაატაროს საჭირო ღონისძიებები, რომლის შედეგადაც ქონებაჩამორთმეულთა საქმეებთან დაკავშირებული ყველა საჯარო პასუხისმგებელი დაწესებულების საქმიანობა გახდება ეფექტური და შედეგიანი;

საქართველოს პარლამენტის მიმართ

1. მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტმა ეფექტური კონტროლი ან/და მონიტორინგი განახორციელოს საქმეების გამოძიების ეფექტურობის მიმართულებით, ქონებაჩამორთმეულთა საქმეების გამოძიების დაჩქარების შესახებ გაკეთდეს პოლიტიკური განცხადებები, შესწავლილ იქნეს საგამოძიებო მოქმედებების გაჭიანურების გამომწვევი მიზეზები და გარემოებები.

საქართველოს საერთო სასამართლოების მიმართ

1. მნიშვნელოვანია, საქართველოს საერთო სასამართლოებმა გაითვალისწინონ ქონებაჩამორთმეულთა კანონიერი ინტერესები, საქმეთა განხილვა დაჩქარდეს და მიენიჭოს პრიორიტეტული მიმართულება, გათვალისწინებულ იქნეს სავარაუდო მსხვერპლთა საქმეთა გახანგრძლივებასთან

დაკავშირებული განწყობები და საქმეთა განხილვა დაეფუძნოს სწრაფი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების საფუძვლებს;

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ

1. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ქონებაჩამორთმეულ მოქალაქეებთან იქონიოს ჯეროვანი კონტაქტი, რათა არსებობდეს სრული ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის, ეტაპების, შემაფერხებელი გარემოებებისა და დასრულების გონივრული ვადების თაობაზე;
2. მნიშვნელოვანია, ქონებაჩამორთმეულთა საქმეების გამოძიების პროცესში საპროკურორო უფლებამოსილება განახორციელონ პირებმა, რომლებსაც წარსულში, ნებსით და უნებლიეთ, შემხებლობა არ გააჩნდნათ სისტემური დანაშაულებების პროცესთან;
3. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ს.ს. „ინტელექტბანკის“ საქმეზე, დააჩქაროს საგამოძიებო მოქმედებები, გაკოტრებული ბანკის აქციონერებსა თუ მფლობელებს მიენიჭოთ დაზარალებულის სტატუსი, კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვით, დადდეს ბანკის გამკოტრებელთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა;
4. საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მუშაობა გახდეს მეტად აქტიური, სწრაფი და შედეგიანი.

ბიზნესომბუდსმენისა და სახალხო დამცველის მიმართ

1. მნიშვნელოვანია, საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა შეისწავლოს ს.ს. „ინტელექტბანკის“ გაკოტრების საქმე და როგორც მნიშვნელოვანმა ინსტიტუციამ ქვეყანაში, საკუთარი დასკვნა/რეკომენდაციები წარმოადგინოს ბანკის გაკოტრების საქმეზე.
2. მნიშვნელოვანია, საქართველოს სახალხო დამცველმა ს.ს. „ინტელექტბანკის“ გაკოტრების საქმე და როგორც მნიშვნელოვანმა ინსტიტუციამ ქვეყანაში, საკუთარი დასკვნა/რეკომენდაციები წარმოადგინოს ბანკის გაკოტრების საქმეზე.

მედია საშუალებების მიმართ

1. მნიშვნელოვანია მედია საშუალებები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქონებაჩამორთმეულთა საქმეების გაშუქებასა და საზოგადოების ინფორმირებაში, ს.ს. „ინტელექტბანკის“ საქმესთან დაკავშირებით, ბანკის აქციონერებთან თუ ორგანიზაციასთან გადამომწდეს ცალკეული ფაქტები და გარემოებები, რათა დაცული იქნეს ობიექტური და მიუკერძოებელი ინფორმაციის მომზადების სტანდარტი.



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

JSC “Intellect Bank” Case

A Research

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
იანვარი, 2016 წ.
ქ. თბილისი

N(N)LP The „Young Barristers“
February, 2016
Tbilis

1. Introduction

